# ცისკარი.

ქართული სიტყჳერებითი

ჟურნალი.

დეკენბერი.

1852 წელსა.

## № 12

**ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ,**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ Декабря 1 дня 1852 года.

Исправляющій должность Цензора Грузинскаго языка

*Свящ. Алексѣевъ.*

Въ Типографіи Канцеляріи Намѣстника Кавказскаго.

32
№ 12.

# ცისკარი

ქართული სიტყვიერებითი

## ჟურნალი.

---

### ქართული ლექსთათხზულება.

#### ლექსნი თ. დავით გურამი შვილისა.

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა შჳენიერი მაზედ დამრჩა თვალი,
შავ თვალ წარბას პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
და მისმან ეშხმან დაცა მლეწა შემიმუსრა ძვალი.

ვჰკითხე, მზეო სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი,
გიაჯები მაცოდინე შენი გზა და კვალი,

[library stamp]

შენთჳს გული ქვად გარდმექცა გავხდი ვით კლდე სალი,
დ მასსი წყალი დამაშრიტე მე შენი მწვავს ალი.

ჴმა გამომცა გაგულისდა სიტყჳა მითხრა ავი,
ავო კაცო ვით გაბედე
ბულბულ ნაცჳლად ვარდ კოკობმა რად დაგისვა ყვავი,
დ მით ავსტირდი ცრემლი ვღვარე ზღჳათა შესართავი.

ასრე მითხრა ჩამომესხენ გამეცალე მარი,
არ მინდიხარ არ მიყჳარხარ სხჳა მყავს კარგი მეყჳარი,
შენგან თვალად უკეთესი ვაჟიკაცი ქმარი,
დ რა ეს მესმა ჯავრით ცხვირსა წამედინა ძმარი.

მითხრა შენგნით ნურცა მესმეს სიტყჳა მაგის მეტი,
აილო დ დამიშინა თავში დიდი კეტი,
დავრაცრაცდი გარდავიქეც დამესვია რეტი,
დ შევებრალდი თავს დამადგა ვით ბნელს ნათლის სვეტი.

რა მოვბრუნდი დაიხარა ხელს მომკიდა ხელი,
ამიყვანა ისრე მითხრა რათ შექნილხარ ხელი,
მე მიუთხარ შენთჳს გავხდი ასრე ჭკჳაზე თხელი:
დ შენ რომ მწუნობ მით მედების გულსა ცეცხლი ცხელი.

მერმე ტკბილად დამიყოვა კიდეც გამიცინა,
ასრე მითხრა აქ ნუ ვსხედვართ გვნახოს არავინა,
ახლა ავდგეთ ჩუჱნ წავიდეთ თავთავის თჳს შინა,
დ კჳლავ სადმე ამოივლი მე დაგხვდები წინა.

სად წავიდა ვერა ვნახე ჩემი საყჳარელი,
მან დამიგდო საიმედო სიტყჳსა არელი,

მე მის მონას ნურც ამხდის მისგან საფარველი,
და სად მიჭირდეს მომეშველოს სხუას აღარას ველი.

იმ ჩემისა საყუარლისა სამსახური მსურსა,
აწ მისთჳს გამიჯნურდა გული მისთჳს ხურსა,
იმედი მაქუს რასაცა ვსთხოვ მომცემს არა შურსა,
და უკვდავების წყალს მიბოძებს ცხოვრებისა ჭურსა.

ღუთისაგან ვითხოვ არ გამყაროს მე მას საყუარელსა,
სხუას უკეთესს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა,
ჩემის სიყუარულისათჳს სცემს იმას ჴელ შეკრულსა,
და სახით ვხედავ ჩემთჳს კუდარსა სისხლით განასრულსა.

აწ შენ ჩემო საყუარელო იმყოფები სადა,
ქუეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა,
ქვესკნელსა ვარ ვერა გხედავ მეგულები ცადა,
და გიაჯები ნუ გამწირავ წამიყვანე მანდა.

ქვესკნელსა ვარ ვერა გხედავ მეგულები ცადა,
გიაჯები ნუ გამწირავ წამიყვანე მანდა.

4.

# სიმე ამისთანა უნდა.

---

ანბავი (ბერნარისაგან).

განგრძელება.

როგორათაც « როგორ მშვიდობით ბძანდებით »! ამ ვაჭრობაში, როგორათაც ჩვენის, შეიძლება ვიგულისხმოთ სამი საგანი: საქონელი (тарифъ) და ბარგი. საჩქარე არის ქბ-რეთვე პირველი საქმე, მეტადრე, გადმოტანისათჳს საგანთ მდიდრულთა, რომელთაცა ისე ხშირათ ჴსცვლის თჳთ ბუნებითი მოდა. იფიქრეთ, რომ მოდები ღუმანისა და ბოვესი, ახალი ამბები დელილის და ლალელინისა, ხელოვნებითი წარმოებანი ჟიუსსი და ოპერისა მოვლენ ნიუ-იორკიდან ოც დღეზე?

— მხოლოთ ოც დღეზე?

— ეგ ნაანგარიშებია. ჩვენთჳს საშიში არ არის პორტები, თუნდა კიდეც ჯაბრი გასწიონ ბორდოსთან. ჩვენი ახალი მოგონება ჰყენებთ იმათ სრულებით. ერთის დატაკებით შევმუსრამთ ნ ა ნ ტ ი ს ვაჭრობას.

— ვაჲ შენს ბიჭსა! გააშვებინა შოდიემ: — მენანტიდანა ვარ!

— კარგია ერთი. თქჳენ სუმრობთ მგონი, რადროს პატრიოტიზმობაა (მამულის მოყვარეობა)! ჩჳენი მამული ის მიწაა, რომელიცა გვზრდის ჩჳენ. აგრეთვე დავაყენებთ მარსელის ვაჭრობას,

— მორსელისასაც?

— დიახ, ასე მაინც. რომ მეორე ხარისხად გავსდით.

მარსელის ეგჳპტე დავანებოთ, აღმოსავლეთი, ზღჳა მეწამული; ხოლო ბორდოს ექნება ამერიკა; ანტილიის კუნძულები და ოკეანე! ჰავრსაც დავაყენებთ.

— თქჳენ ერთის სიტყჳთ ყველას აყენებთ?

— საყვარელო შოდიე! პოლიტიკაში, სამხედრო და ვაჭრობით საქმეში შეიძლება ყოველი კანონი ერთათ შეერთდეს: მოკალ დღეს, რომ ხვალ მოკლული არ იყო. მთელი ხმელეთი — დაუსრულებელი მეიდანია ჯაბრობისა! სულელია ის ვინც დოელში ჭკაერში ისვრის. მაგრამ ჩჳენ სხჳა ვსქჳათ.

— თქჳენ გუშინ ბძანებდით, რომ გინდათ აქციები ორმოცდა ათი ათასის ფრანკისა. . . .

— უკაცრავათ, მაგაზე სრულებით არ გჳლაპარაკნია, მიუგო აუჩქარებლივ შოდიემ.

— მე მგონი თქჳენ თჳთონ ახსენებთ გუშინ ის ფული.

— გუშინ? იქნება.

— მაშ განზრახჳა გამოიცვალეთ?

— განზრახჳა არ გამომიცვლია; გარნა იქნება სიტყჳები შევსცვალო.

— გთხოვთ მიბძანოთ რაერთი გნებავთ აკციები. ერთი სიტყჳთ მომატებული ანუ ნაკლები.

— არც მომატებული, არც ნაკლები, მიუგო შოდიემ.

— მითომ როგორ?

— არც ერთს არ ვიღებ.

ამ ამბავის დაბოლოებაზე, რომელიც ასე უეცარი იყო, ასე, რომ, თუმცა იცოდა ფლობა თავისი 'თვისისა, რომელიცა მოიპოვა ხშირის ინტრიგებით, ლაბუასიერ მაინც უეცრათ შეძრწუნდა; გარნა მაშინვე მიუგო გონებას და ჰკითხა შოდიეს დაცინებითი ტონით:

— მგონა წუხელი სულ გამოგიცვლიათ თქჳენი აზრი?

— თქჳენ გამოიცანით, წუხელი გავოვცვალე.

— უთუოთ მადამ ბალიელის რჩევით! უპასუხა ლაბუასიერმა.

— არა, ჩემთჳს მადამ ბალიელს არა ურჩევია რა.

გამწყრალმა სპეკულიატორმა დაიწყო ულვაშების წიწკნა და წარბნი შეიჭმუხვნა.— მაგას მე შევიტყობ! ჰსთქჳა გაჯავრებით ნელის ხმით.

— როგორც გნებავდეთ, მიუგო შოდიემ, არა მოჩჳენებელმა სახისა, რომ მიხვდი შეურაცხს აზრსა მისი სიტყჳებისას.

— მე ვხედავ, რომ თქჳენი აზრები ძალიან ჩქარა იცვლებიან. თქჳენ პირდა პირ თეთრიდან შავზედ გადადიხართ. მაგრამ გავათაოთ ესა, მიუგო ლაბუასიერმა დაფარულის ღიმი-

ღით, რათა არა ეჩჳენებისა თავის უკმაყოფილებას.— ნება მომეცით შევიტყო აზრი თქჳენი ჩემთან მოსვლისა?

— ორი არის მიზეზი ჩემის მოსვლისა, მიუგო შოდიემ შეურყეველისა სიმყუდროებითა:— პირველი არის ის რომ ამ სამი თჳს წინ უფალმა ბალიელმა აიღო თქჳენგან ათი ათასი ფრანკის აქციები; ეხლა ის აქციები მე მეკუთვნიან, ესე იგი ჩემ სახელზე გადმოწერა; ხოლო მე, როგორც მოგახსენე უკჳე, არა მსურს მონაწილეობა თქჳენ წინა განძრახჳაში; და როგორც მე განვსაჯე თქჳენის საკუთარის სიტყჳებიდან, მაგ აქციებს დიდი გასავალი აქჳთ, ამისთჳს თქჳენ, რა საკ-ვირველია უარს არ მეტყჳთ ამ ათი ათასი ფრანკის აქციების მაგიერ ფულის მოცემას.

— თქჳენა ბძანებთ, უთხრა ლაბუასიერმა გაკვირვებით იმა კაცისა შემხედველმა, რომელმაც იმისთანა უგვანი წინადადება გამოუცხადა, რომ. . . .

— მე ვამბობ გააშვებინა შოდიემ:— რომ ათი აქცია ბუ-მაჟნიკში მიძევს, ხოლო თქჳენსაში ვხედავ მომეტებულად ბევრს თამასუქებს, მინამ ეს ჩემი აქციები ღირან. ამისთჳს არა არის რა ამაზე უადვილესი, როგორათაც გამოცვლა.

ლაბუასიერ დიდის ხარხარით გადიქცა კრესლაზედ.

— საყჳარელო უფალო შოდიევ, უთხრა მან სულის მობ-რუნების შემდეგ:— მე ვიცოდი, რომ თქჳენ საუცხოვო კაცი ხართ, საკვირველი მხატვარი რუმოტკებისა, ჩინებული მებადე და მგონი დომინოს თამაშობაშიაც და ხელოვნებული ბძანდე-ბით გარნა მე აღარ ვიჭგნეულებდი სხჳასა კიდევ ღირსებასა

თქჳენში. იცით, რომ ძალიან საუცხოვოთა გცოდნიათ გასუ-ლელება ვისიმე? უბედურებაა ჭეშმარიტათ, რომ ბედი არ გამლევს აქტერი იყო! არნალის/ როლში დიდს მოქმედებას იქმოდით.

ბენუა შოდიემ ისე რიგათ გაიღიმა, რომ ძლივ შეეტყო-ბოდა.

— ათი ათას ფრანკზე შემდეგ მოვილაპარაკოთ, უთხრა მან:— ხოლო ახლა, არ შეიძლება გაიგოთ მეორე მიზე-ზი, ჩემი თქჳკნთან მოსვლისა?

— ინებეთ, ინებეთ! გულით გაცინების შემთხჳევა ასე ძვი-რია! იმედი მაქჳს, რომ თქჳენ დაიცვავთ დაწესებულთ ადა-მატაცებელისა კანონთა, მაშა სადამე, იმედი არის, რომ მეო-რე ნუმერიც პირჳელზე უგემური არ იქნება?

— თქჳენ თითონ ნახავთ, მიუგო შოდიემ, რომლისაცა ცივი ფიზიონომია ისე არა (დარმონიობდა) თანხმობდა ნებიერ სიცილთან საქმიანის კაცისა. — თქჳენ ორმოცდა სა-მი წიგნი გაქჳთ მადამ ბალიელისა, გთხოვთ მიბოძოთ ისინი.

— ა. ბოლოს გამოცხადდა! გამოცანა, დაიყვირა მოძრაო-ბით ლაბუასიერმა. — მე მაშინვე ვიცოდი, რომ მადამ ბალიელ ამ დონის ძიებას მიატანდა! საწყალი დედაკაცი! ომი სურს— ბატონია!

სახემან მისმა, სიანჩხლისაგან გაუსახევებელმან, უეცრათ მიიღო იგი ამაყი და ცივი შეხედულობა, რომელსაცა ხშირათ მიიღებენ (Заӣяки) მხოცელნი (დოელისტნი), თუმცა თი-თონაც არიან შიგ გაბმულნი.

— უფალო მოდიევ, პირველი თქუენი თხოვნა, მე მეგონა უგუნური ხუმრობა, და მისთჳს ისე გულით ვიცინე; გარნა უკანასკნელი იქნება თქუენ არ იფიქრეთ ბოლო, მადამ ბალიელისაგან მონდობილის საქმისა.

— მადამ ბალიელას ჩემთჳს არა მოუნდვია რა.

— მაშ იმან არ გითხრათ თავის წიგნებისა?

— ერთი სიტყუაც არა!

— მაშ ვინ გეტყოდათ?

— ნება მიბოძეთ მაგაზე პასუხი არ მოგცეთ.

— მაშ მეც ნება მიბოძეთ ჩემი მხრით ვიფიქრო თქუენს სიჩუმეზე როგორც ჩემი ნებაა. თქუენ ბძანებთ, რომ მოქმედებთ საკუთრის თქუენის სახელით?

— დიახ.

— მაგ შემთხვევაში აი ჩემი პასუხი: თუმცა თქუენ სიძეცა ბძანდებით მადამ ბალიელისა, გარნა ეგ თქუენ არ გაძლევსთ არა ვითარსამე ძალას; რომ თქუენ გერიოთ იმ საქმეში, რომელიც საკუთრათ შეეხება იმ ქალსა, ამისათჳს მე წიგნებს არ გაძლევთ! რაიცა შეეხება მეორეს, მე ვყიდი აკციებს, და არ ვყიდულობ.

— მე მაგ უარს მოველოდი, მიუგო მოდიემ: — ამისთჳს წინათვე მივიღე ღონის ძიება, რათა თქუენ უთუოთ თანხმა გამიხდეთ.

— მართლათ? არ იქნება მიბძანოთ, რა ღონის ძიებით?

— თქჳენ იმათ შეიტყობთ, თუ ინებებთ ცოტა ყურის გდებას.

— თუნდა ხვალამდინ ილაპარაკეთ, მზა ვარ; ჭეშმარიტათ დიდი სურვილი მაქჳს შევიტყო როგორ დამატანთ ძალას რომ მათქმევინოთ: დიახ, ანუ არა: ჩემი ციგარის კომლი ხომ არ შეგაწუხებთ?

— არა, მიუგო მოკლეთ შოდიემ.

ლაბუასიერმა მოუკიდა ციგარას, მუხლებზე დაიფარა ხალათის კალთები, ცოტა კრესლა უკან გადგა, გაიშიმა იმაში და ნებიერათ დააწყო ფეხები ბიუროზე. ამ თავაზიან მდგომარეობაში, გასტყორცა შადრევანივით კომლი ციგარისა, და უთხრა ბრიუკლს სითამამის ღიმილით:

— ეხლა, ჩემო მოწყალე ბატონო, დეიწყეთ ლაპარაკი, ორივე ყურით მზა გახლავარ.

ჱ.

ბენუა შოდიე დაასცქერდა რამთჳენიმე ხანი სპეკულია-ტორს, და დაიწყო ნელის, გარნა აუჩქარებელის (ტონით) ფარდებიდან.

—როდესაც თქჳენ ავრცელებდით თქჳენს ჭკვიანურს ტეორიას, უთუოთ ფიქრობდით, თქჳენ იმისთანა კაცს უხსნიდით, რომელსაც სრულებით გაგება არა ჰქონდა მაგ საგნისა: მაგაში შესცდით. რა საკჳრველია კომერციის (ვაჭრობითს) სპეკულიაციაში (აღებ-მიცემობაში) მე ისეთი მცოდნე არა ვარ, როგორათაც თქჳენ, გარნა შემიძლიან მოგახსენოთ, რომ არც სრულებით უმეცარი ვარ, ამის დასამტკიცებლათ საბუთი არის ოთხის წლის წინ, ჩემი დაახლოებითი ცნობა კომერციისა (ვაჭრობითის) სახლისა, რომელსაც ჰქონდა დიდი ვაჭრობა, აწარმოებდნენ მას ორი და ჟობერი კამპანიით.

ამ სიტყჳაზე ძლიერმა ლაბუასიერის მოძრაობამ უკან დააწეინა კრესლას, და ფეხთა მისთა რა დაკარგეს დასაყუდებელი ალაგი, ჩამოცჳვდენ ძირსა.

—ერთხელ, ამბობდა შოდიე ფთხილის თვალით მჩხრეკავი თვითოეულისა მოძრაობისა მსმენელისა თჳსისა:— ეს მოხდა კთ-ს აპრილს 1832 წელსა.— ერთი უცნობი კაცი გამოცხადდა ჩჳენს კანტორაში მისაღებლათ რაოდენისამე ფულისა, რომელსაცა ჰქონდა ბილეთი გადმოცემული ჩჳენს სახელზე რიულის და დენცტელის სახლით სტრასბურღიდან.

სპეკულიატორმა თვალები დაიხარა.

— თუმცა ჩუენ წინათ არა მივიღეთ არა რაიმე ცნობა ჩუენის მიმწერმომწერთაგან, ამბობდა შოდიე:— გარნა იმ ბილეთზე მივეცით ფული. მერე რა გამოვიდა იცით? ბილეთი გაკეთებული იყო, ამაზედ ჩუენ მივიღეთ უეჭველი დამამტკიცებელი საბუთები. მართალია, თუმცა ის იყო თამასუქი რიულის და დენცტელის სახლისა, ასე გასინჯეთ იმისი ღერბიცა ჰქონდა; გარნა გაკეთებული იყო ხელის მოწერა. ჩუენმა კორრესპონდენტებმა მაშინვე ეჭვი მიიტანეს ერთს ყმაწვილ კაცზე, რომელიც შემდეგ მცირედის ხნისა მსასურობისა კანტორაში, იყო დათხოვნილი, კარგა ბლომათ ფულის დაკარგვის გამო. იმ ყმაწვილს ეწოდებოდა მაბო; გარნა მას სხუა სახელიცა ჰქონდა. . . . ციგარას გააქრობთ!

ლაბუასიერ თუთქო სულთქმა დაეკარგა, ამ ამბის თქმაზე, დაუწყო ძრიელ წევა სიგარს; ხოლო გვიანღა იყო, დიდი ხანია გამქრალი იყო.

— თუმცა სამ ნაირათ იყო გაკეთებული ხელი რიულის და დენცტელისა, აგრეთვე ბარათი ხსენებულის მთხოვნელისა, სახელით ფრიდრიხის ბონესა, სოლო აკტის აზრი და ხელის მოწერეება ერთი ხელით იყო; რა შევათანხმეთ ის აშკარა ბიყალ ბილეთი ბევრს შაბოს ქაღალდებთან, ჩუენ ადვილად დავინახეთ უეჭველი მგზავსება ხელისა. ცხადია, რომ შაბომ ზედ მიწევნით ისწავლა ხელი ვაჭრობითის სახლისა, რომელშიაც ემსასურებოდა. შეადგინა იგი თამასუქი, და იქნება კიდევ ბევრი სხუაც, რომელნიცა მისთვის იყო ადვილი ხელთ საგდები, და შემდგომ დაიწყო მით თხოვნა ფულისა პარიჟში. ამის შორის შეიტყეს ბინა ამა დარქმეულის ბონესი, მერე რა? იქაც მოტ-

ყუება გამოვიდა. იმ ხსენებულს სასლში სრულებით არ არსებ-
და იმისთანა გვარი. ამ სახით დაიკარგა კვალი წარმომდგე-
ნელისაც ჲ გამკეთებელისაც. ეს საქმე ახალმა წარმოებამ მალე
მისცა დავიწყებას. მიცემული სუმას ჩასწერეს გასულის სიაში
ჲ სრულებით მისცეს დავიწყებასა. მხოლოდ ორმა პირმა ნა-
ხა შაბო იმ დროს, როდესაც ის გამოჩნდება გლერის ქუჩაში:
ერთი მათგანი იყო კასსირი ( ხაზინადარი ) ბლანკარ, აწინდე-
ლი ჩინოვნიკი ხაზინისა, მეორე ამხანაგი ვაჭრობითის სახი-
სა. ამ ორთა კაცთა, რომელთაგანიც უკანასკნელი ვიყავ მე,
ცდილობდენ ყოვლის მეცადინეობით შეეტყოთ, ვინ იყო ნამ-
დვილი წარმომდგენელი ფალშივის ( ცრუ ) ბარათისა?

სპეკულიატორმა გულს ხელები დაიკრიფა ჲ მთრთოლვარე
სწევდა დიდის ხნის გამქრალს სიგარს.

ბოლოს ჩვენ შევიტყეთ, იწყებდა შოდიე, შეურყეველის
ცივის სისხლით:— რომელ ის ბონე, ის შაბო, რომელსაც
აქჳს კიდევ სხჳა სასლი, ბოლოს ის მაშენიკი— თქჳენ
ხართ!

ლაბუასიერმა შეიკრიბა ყოველი ძალა თჳსი, რათა დახვედ-
რიყო მისთანა მოულოდინელს, მისთანა აუცილებელს უბედუ-
რებას, აღტაცებული სიანჩხლისაგან ავარდა კრესლიდან, დამა-
ცქერელი საშინელის თვალითა თავის გამამტყუნებელისა.

— ეგ უკადრისი მზაკვარობაა! დაიყვირა მან:— სიყალბეა,
ჲ თქჳენ ჩემი შეურაცხებისათჳს სიცოცხლითა თქჳენითა
მომიგებთ პასუხსა!

— არა მგონია. დამაცალე გავათაო ჲ. მე არ მინდა ვიცო-

დე ისა, რაც თქუენ 30 აპრილს 1832 იმოქმედეთ და რომ-
ლისა სახით, შემდეგ ერთის წლისა არ ვიცი როგორ გაუმე-
გობრდით ჩემს სიმამრს. თქუენი ცხოვრების ამბავი დაგვა-
შორებს ნამდვილის ლაპარაკიდან; მერე აქ სრულებით უსარ-
გებლო იქნება თქმა იმა დროსი, რაც მოხდა ჩემი ცოლის
ლის შერთჳს წინ. იქიდან დავიწყოთ, როდესაც მე შევირთე
ბალიელის ასული. თქუენ მაშინ ბორდოში ყოფილხართ, მი-
ზეზი მოგეგონათ შედგენა პარახოდის საზოგადოებისა.
თქუენის მოსვლის შემდეგ პირუელი ჩუენი ნახუა ჩემ სი-
მამრთან იყო. მე უცხო მეხსიერება მაქუს: თქუენი სახე მა-
შინვე თვალებში მეცა, მომაგონდა წარსული ყოველივე და გი-
ცანით თქუენ!

— ეგ სიცრუეა საშინელი გეუბნებით!

— ასე კარგა გიცანით, რომ შემდეგ სრულებით აღარაფე-
რი ეჭვი აღარა მქონდა რა. თქუენმა გვარმა უმეტესად და-
მიმტკიცა, რომ არა ვცდებოდი. უფალთ რიულიდგან და დე-
ცენტელიდგან შევიტყე, რომ კაცს, რომელზედაც იმათ ეჭვი
აქუთ, ჰქვიან შარლ-ლუი-დიუსტავ-შაბო-ლაბუასიერ. სტრას-
ბურგში თქუენ მოკლეთ გეძახდენ შაბოს; გარნა იფიქრეთ
რა, რომ საჭირო იყო ასტავკა მიგეცათ იმ გვარისათჳს, და-
ირქვით ლაბუასიერობა; ეგ იმას გავს, როგორც ომში ფე-
ხებში გამოკლულს ცხენს თავს დაანებებენ და მოაჯდებიან
სხუას კარგს ცხენს.

— კარგი! კარგი! წარმოთქუა სპეკულიატორმა აკანკალებუ-
ლის ხმით:— ილანძღეთ! როდესაც გაათავებთ, მაშინ მოვი-
ანგარიშებთ.

— თუ მდომიყო, იმავე მინუტში გაგამტყუნებდით, მიუგო შოდიემ არა შემკრთალმა მუქარისა მისსა ზედა:— გარნა მე არა მაქჳს ჩუჱულებათ საქმის ისე.... როგორმე მოხდენა; ამისთჳს ესლა გადავწყვიტე თქმა, როდესაც მივიღე პასუხ-უგებელი საბუთები. აი ორი წელიწადი იქნება რაც მე დაუტევე რუ და ყებერის სახლი, რომელნიცა გადასახლდენ მარსელში. რა მივიღე საჭირო ცნობა, მაშინვე გავგზავნე წიგნი ფრანსუა ყაბერთან. რომელთანაც იყო თქჳენი ყალბი ბილეთები. ის მაშინ იტალიაში იმყოფებოდა, ამისათჳს ჩქარა ვერ გამომიგზავნიდა მათ. ამ სახით გაიარა ხუთმა თვემ. ამ დროებაში მე იძულებულ ვიყავ მიმეღო ჩემ სახლში, დამესვა ჩემ სტოლზე კაცი, რომელთანაც ჩემს ხიზანს ჰქონდათ ისრეთ დამოკიდებულება; არა მეჭველნი, რომ ის კაცი არის ბოროტი და ავაზაკი.

— აი შე წუწკო! დაიყვირა ლაბუასიერმა და მივარდა ამბის მთქმელს.

შოდიემ ცივის სისხლით მოიშორა მაზედ აღებული დასაკრავათ ხელი და დასვა თავისი წინააღმდეგი, რომელსაც ასე მოუჭირა მაჯაში ხელი, რომ წაართო მას სურვილი მეორეთ გამეორებისა იმისთანა საქმისა.

— მოთმინება იქონიეთ, აი ვათავებ. წიგნს, რომელსაც მე ველოდი, რათა მით გამემტყუნებინეთ. მე მივიღე გუშინ და თითონ თქჳენ გასწიეთ შრომა იმის მოტანით. ფრანსუა ყობერ, რა დაბრუნებულ იყო მოგზაურობიდგან, გამოეგზავნა იგი წიგნები, ახლა აი აქა მაქუს ბუმაჟნიკში, და თუ თქჳენ

ჩემ სურვილს არ აღასრულებთ, მე თქუენ გარწმუნებთ, რომ რა გავალ აქედგან, მაშინვე წარუდგენ კოროლის პროკურორს.

ზარ დაცემული ლაბუასიერ დაფიქრდა დიდათ.

— როგორ ავავსებთ მაგ ქაღალდებს? ჰკითხა ბოლოს მან წყენით.

მომეცით ათი ბანკის ბილეთი ჩემი ათი აკციის სამაგიეროთ, და ორმოცდა სამი წიგნი მადამ ბალიელისა თქუენი ვექსილების სამაგიეროთ.

სპეკულიატორმა აიღო თავის იაზანფოზნიდგან ათი ბანკის ბილეთი თითო ათასის ფრანკისა, ამოიღო პატარა უჯრიდან შეკრული წიგნები, სიტყუა უთქმელათ მისცა სულ ბენუა მოდიეს.

— ნება მომეცით დავთვალო, უთხრა უკანასკნელმა, რა მიიღო შეკრული კონა ბარათებისა.

ლაბუასიერმა მწარეთ გაიღიმა, როგორათაც კაცმა საშინლათ გაკიცხულმა, გარნა არა მქონემ უფლებისა გამოჩენისა!

— ორმოცდა სამია ჰსწორეთ! უთხრა მოდიემ, გულის ხმიერათ დამთვლელმა:— ეხლა ერთი მოწყალება მიყავით, ერთ პაკეტში ჩაწყევით სულ ეს წიგნები და თქუენი ბეჭედი დაასვით.

— მითომ ეგ სიფთხილე რა საჭიროა? ჰკითხა ლაბუასიერმა, მაინც კი აიღო ბიუროდგან ერთი დიდი თაბახი ქაღალდისა.

— მე არ მინდა, რომ მადამ ბალიელისამ იფიქროს, როდე-საც მიუტან იმ წიგნებს, რომ მე ჩამიხედნია მათში.

არ უწინააღმდეგა თხოვნას, რომლისაცა თავაზის დარდი ეხლა სულ არა ჰქონდა, ძველმა მიჯნურმა ორმოცდა ხუთის წლის ქალისამ გაახვია ერთიან ის სიყვარულიანი მიწერ მო-წერა, დაასო სურვილისა მებრ შოდიესი ბეჭედი პაკეტს და დაურთო ზედ ათი ბანკის ბილეთი, და მისცა შოდიეს, რო-მელმაც ამასობაში ამოიღო თავის პორტუფელიდგან წაუხდენე-ლის გემების აკციები და გაკეთებული ბილეთები. ასე რიგათ გამოუცვალეს ერთმანეთს, რომ არც ერთმა ხმა არ ამოიღო მინამ ადოლფინას ქმარი ჯიბეში იწყობდა წყნარა მიწერ მო-წერას და ბანკის ბილეთებს, ლაბუასიერი მოღრუბლულის სა-ხით ჰსჩხრეკდა ქაღალდს, რომელიც ისე ძვირათ იყიდა, შემ-დეგ დაწვრილებითის განჩხრეკისა აანთო სამთელი და მოუ-კიდა თამასუქს ცეცხლი, რომელიცა მყის გადიქცა შავს ფერ-ფლათ, ხოლო ლაბუასიერმა ფერფლი იგი მოსრისა ფეხით, თითქო ცეცხლი საკმაო არ იყო.

— რა ნახა დამამტკიცებელი საბუთი თავისი შეცოდებისა, დანაცრებული, ლაბუასიერმა წაიფრუტსუნა მსგავსად მგლისა მომზადებულის საკბენად; შემდგომათ აიღო მან თავი გაბედუ-ვით და დააცქერდა კაცსა მას რომელსაც დაბეზღებასა აღარ შიშობდა, მისთანა თვალით სადაც ბრწყინამდენ სიანჩხლე აქა-მომდე მისგან დაკავებული.

— მანამ აქედან გაბძანდებით, უთხრა მან ბე[illegible] სიტყვით ჩუენ უნდა გავწმინდოთ უკანასკნელი ანგარიში. რა იარაღს ირჩევთ?

შოდიემ წყნარა ჩაიღიმა.

— მე მოველოდი თქჳენგან მაგ გამოთხოვნას, მიუგო მან:— გარნა უკეთეს იქმოდით არ გამოგეცხადებინათ. ამიტომ რომ არ მივიღებ.

— მაშ თქჳენ გგონიათ, რომ არ გამომყჳფთ ამ გამოთხოვეაში?

— მგონია კიდეც და არც გამოვალ.

— იქნება გგონია, რომ მე შენ ძალით არ გამოგიყჳან? დაიყჳრა ლაზუასიერმა სარდონიის ხმით:-- მე თქჳენ სასიკჳდილოთ გაგკიცხავთ და თქჳენ გგონიათ მე მოვითმინო მე უსისხლოთ? გიჟი ყოფილხართ, სულა. საყჳარელო! ჩჳენ უნდა უთუოთ გავიდეთ დოელში, არამც თუ მალე, არაც თუ ხჳალ, არამედ დღესვე. თუ ჭკჳა გაქჳს შენი ნებით გამოდი ახლავ. თორემ იცოდე ისე დაგსჯი ვითარცა ღირსია მშიშარა დასჯის.

— მე არ გირჩევთ წეღანდელივით ხელების პარჭყჳას; მე ველარ მოვითმენ, როგორათაც პირველათ და იძულებულ ვიქმნები გაგზავნოთ ქუჩისკენ ვიბეზე ჩაუვლელათ, მესამე ატაჟაში ვსდგეხარ და აქედან ჩახტომა თქჳენი სიმთელისათჳს სასარგებლო არ იქნება.

ამ სიტყჳაზე შოდიემ დაუდევნელათ გამოჭიმა ორი განიერი ხელები გარუჯვილი სოფლიურის მუშაობისაგან, რომლისაცა ძვლოვანი თითები ამტკიცებდენ რომ ერთის შემოკვრით ხარსაც წააქცევდენ. ამ მნიშვნელმა მოძრაობამ დაამშვიდეს აღტაცება მოწინაღმდეგისა, რა ნახა რომ ბრძოლაში

ისარგებლებდა, გულს ხელები დაიკრიფა.

— მე შენ კეთილშობილურათ გელაპარაკები, უთხრა მას ზიზღილის ღიმით და შენ მენახირულს პასუხს მაძლევ!

— მენახირე ჰსჯობია კეთილშობილს ცრუ ქაღალდების მკეთებელს.

— გამიგონეთ, უპასუხა ლაზუასიერმა სიანჩხლით:- აქ ჩუ̂ენ მარტონი ვართ და რადგან შენ მხდალი ყოფილხარ ტყუილი იქნება რომ ყბაში შემოგკრა. დღეს ასე იყოს, გარნა პირველი შეყრა თუ სადმე მოხდა ჩუ̂ენი საზოგადოებაში, ჩემი ჯოხის მოქნევის სიახლოვეს არ გირჩევ მოსვლასა, თორემ პატიოსნებას გეფიცები, თუ შემხვდი, ჯოხს ზედ თავზე დაგამსხვრევ. მაშინ ვნახავ, კიდევ უარს მეტყვი დუელში გამოსვლისას.—

— მე შენ გაგლახავ, მაგრამ დუელში კი არ გამოვალ, ჰსთქვა შოდიემ მომატყებულის დამშვიდებულის ცივის სისხლით; თუ შენ მარტო დუელისტი იყო, იქნება მაშინ გავგიჟებულვიყავ და გამოგყოლოდიყავ, მაგრამ შენ ერთი პლუტი კაცი ხარ და არასოდეს თავს არ გაგიყადრებ და შენი მგზავრი არ შევიქნები შენთან გამოყოლით დუელში.

— მაშ გინდა, რომ მოგკლა! დაიყვირა ლაზუასიელმა, უიმედო გამხდარმა ამისთანა გაკიცხვის უარის გამგონემ.

— მაგითი სულ ვერ შემაშინებ, მიუგო შოდიემ ირონის სახით გარინდებულმა. დუელში გამოთხოვნა იმისთანა კაცისა, რომელიც არიან მყუდროებით ცხოვრებაში, დიდი ვაჟკაცობა არ არის, მეტადრე, როდესაც თითონ ათი წელიწადი

ევარჯიშნოს და ოცდა ათს ნაბიჯზე მესამეთ ყოველთჳს მარტყამდეს დასმულს ტუზსა; გარნა კაცის მოკჳლას ცოტა რამ გაბედვა უნდა, თუმცა მართალია გალერაში გაგზავნისა არ შემეშინდა, მაგრამ არა ვგონებ თავის წარკჳეთთაზედაც აგრე მხნეთ იყო.—

შოდიემ ადგა, თავისი ქუდი, რომელიც შემოსვლისას ერთს სტოლზე დადო, გამოუსალმებლათ სახლის პატრონთან წყნარათ წავიდა კარებისკენ. რასაც დროს კარებს აღებდა, ლაბუასიერ გამოსული გაოცნებიდგან გამოვარდა იმისკენ.

— ხვალამდენ, უთხრა მან გაწყვეტილის ხმით; ხჳალ სადილათ შენ სიმამრთანა ვარ. შენც იქ იქნები. იქ შენის ნათესავების თჳალ-წინ, ყბებს შემოგამტვრევ და პირს ფურთხით აგივსებ: მე ამასა ვიქ გეფიცები ხუთი ათას ეშმაკზე. შენ შენი მუშური მუშტების იმედი ნუ გაქჳს; მე იარაღით ვიქნები, და პირველსავე მოძრაობაზე სისხლს გამოგადენ.

— მადლობელი ვარ წინათ დარიგებისათჳს. უთხრა შოდიემ დაუდევნელად.

— ხჳალამდე, განუმეორა ლაბუასიერმა იმისთანა ტონით, რომელიც აჩჳენებდა ბეჯითს გადაწყჳეტილებას, რომელშიაც ცხადათ ჰჩნდა, რომ სისხლით სურდა მას დეებანა თავისი აბიდ:.

თ.

რა გამორდა ლაზუასიერს, ზენუა შოდიე, მივიდა მაშინვე თავის დახაში; პირველსავე მისვლაზევე შევიდა პატარა ზალა-ში, რომელიც ჩუ̂ჱნ უკუ̂ჱ ვახსენეთ. იქ დასჳ̂და თავის [illegible]სამა-მრი ლომბერნის სტოლთან, რომელიც ამ დროებით შეცვა-ლილიყო სამწერლო სტოლათ, სადაც საწყალს მოხუცს დეეწე-რა რაოდენიმე წიგნები; იქავ დასჳ̂და მადამ ბალიელიც. რო-მელიცა წამოგორ;ბულიყო დივნის ბალიშებზე ჲ ჰგვანდა იყო შეუძლოთ. შეწუხებული სახე მიხი ასე იყო შეცვლილი რომ თითქო გუშინდელს აქეთ ათის წლის სიბერე მისცემოდა.

— სიძის დანახჳ̂აზე უფალი ბალიელ ადგა საჩქაროთ,

— ძლივს მოხუ̂ჱლ, უთხრა მან რომლისამე არევით; ჰსწო-რე უნდა ვსთქუ̂ა, რომ ყოჩაღი ბიჭი ხარ!

— რა ამბავია? ჰკითხა შოდიემ.

— ის ამბავია, რომ შენ პარიჟში წასვლის წინ გადამაწყე-რინე შენს სახელობაზე აქციები, რომ მადამ ბალიელი თანა-ხმა იყო, ახლა მე მიჯავრდებიან, თითქო მე გულთმისანი ვიყავ გამომეცნო მართალი ჲ ტყუილი! საყუ̂არელო, აი თი-თონ აღგიხსნათ ამან, უთხრა მოხუცმა ცოლს. — შოდიე! ისე არ იყო, რომ მითხარით: მე ჲ მადამ ბალიელს შორის ეს საქმე მოლაპარაკებულოი?—

— დიახ, ვთქვი, მიუგო გულ წრფელობით ქმაწჳლმა კაცმა.

— თქუ̂ჱნ მაგის თქმას როგორა ბედამთ, რომ მე მითომ

მაგაზე მოგელაპარაკეთ? დაიყვირა მადამ ბალიელმა სიანჩხლი-საგან გაწითლებულმა.

— თქჳენ იმაზე არა გითქვამთრა, უთხრა შოდიემ შეუწუ-ხებელის ტონით,

ცოლ-ქმართ ერთმანეთს შეხედეს გაკჳრვებით, და დააცქერ-დენ გამჩხრეკელის და შეწუხებულის თჳალით სიძესს.

— უთუოთ მეორეთ საუზმე უჭამია პარიჟში, იფიქრა მო-ხუცმა და იმ მელა ლაბუასიერს დაუთვრია კიდევ, რომ უფრო ადვილათ გეეპტუვნა.

— არ იქნება ინებოთ და ამიხსნათ, რასა ნიშნავს სულ ეს ამბავი? ჰკითხა მადამ ბალიელმა, რომელიც როდესაც ლაპა-რაკობდა თავის ქმარის საქმეზე, ყოველთჳს პირველ პირს და მხოლობითის რიცხვით ლაპარაკობდა.

— დიდის კმაყოფილებით, მიუგო შოდიემ: — თუ ის აქ-ციები ჩემი საკუთრება არ გახდებოდა ვერ მოვიხმარდი, და ამისთჳს მოვიგონე ეს ღონის-ძიება რომ უფრო დამერწმუ-ნებინა ჩემი სიმამრი, თქჳენი თანხმობა იმიტომ უთხარ.

— მაშ ვიდეც მოიხმარეთ ის აქციები? დაიყვირა მადამ ბა-ლიელ შეწუხეუულის ტონით.

— ვიხმარე ეგ თჳსუფლება, თქჳა შოდიემ სიცილით.

— უთუოთ ღჳნოს გაუბედვინებია, თავისთჳს თქჳა მოხუ-ცმა; თორემ მე ეს თავის დღეში ასე არსად მინახავს.

— კარგი გავათაოთ თუ თქჳენი ნებაც იქნება, მიუგო მადამ ბალიელ ისეთის მწყრალის სიტყჳთ, რომელიც თავის

ქმარს შეაწრწუნებდა თუ იმისთჳს ეთქო პირდაპირ; გაქუ̂თ რამე მიზეზი, რომ არ მეუბნებით ის აკციები რა უყავით?

— სულ არა მიუგო შოდიემ; ასე იტყჳან ღამე რჩევას აძ-ლევსო; ჩემი სიმამრის შენიშვნა, რომელთამე წინაგანზრახ-ვაები დღეს დილის ჭკუ̂აში დამიჯდა, თუმცა გუშინ თანახმა არ ვიყავ, ახალი აკციების გამორთმევის მაგიერ მე ძველები მივეცი ლაბუასიერს.

— მერე გამოგართო? დაიყჳრეს ერთათ ცოლმა და ქმარმა.

— მა რას იქმოდა: აი კაპიტალიც (თავნიც) შოდიემ ამო-იღო ჯიბიდან ათი ბანკის ბილეთი და ლომბერნის სტოლზე დაყარა.

მადამ ბალიელ გასარებული მივარდა და ხელით დაბღუჯა ძვირფასი ქაღალდები. როგორათაც კატა თაგვს დაბღუჯამს კლანჭებში.

— როგორ მოახერხე ლაბუასიერის კლანჭებიდგან ჩუ̂ენი ფულის გამოგლეჯა! დაიყჳრა და სიხარულისაგან გაბრწყინდა შუბლი წინაალმდეგობა არა გაგიწია რა?

— რასაკჳრველია, მაგრამ ბოლოს დავთანხმდით. ესეც შე-ნი ათი ათასი ფრანკი; თუ გნებავთ მე მომეცით ადოლფინას მზითევის ანგარიშში და თუ გნებამთ ერთათ მოცემა ისიც თქუ̂ენი ნებაა.

— მაგას ადვილათ მოვარიგებთ, თქუ̂ა უფალმა ბალიელ, რომელმაც რა ნახა თავის ცოლის ამაზედ არას ამბობდა, ამისთჳს ვერ გაბედა გადაწყვეტილი ეთქვა რამ. ჯერ შენთან

ბოდიში უნდა მოვითხოვო, საყვარელო ბენუა, რომ შენზე რაღაც ცუდი ფიქრი მომივიდა. მე ასე მეგონა პარიჟში შეცდომა რამ მოახდინე და მოტყუებული შეიქენ იმ ცრუ მოლაპარაკე ლაბუასერისაგან, მაგრამ ეტყობა შენ უფრო ლაზათიანათ მოგიტყუებია. აბა ვინ დაიჯერებს, რომ შენ მაგისთანა საქმე მოახდინე, რომელიც თითქო ჭინჭველს არ გასჭყლეტსო,

მოხუცი ბანკის ბილეთების დანახვით ხარობდა, მაგრამ რა ნახა, რომ მეუღლე მისი არ მონაწილეობდა სიმხიარულესა მისა, რომელსაც მონა იყო ისრეთი, რა შეხედა თავის ცოლს გაჩუმდა და დაუწყო იმ თვალით ყურება მას, თითქო ეხვეწებოდა ნება მიეცა მისთჳს რათა ემხიარულნა.

პირველიდგანვე რა შოდიემ დაიწყო ლაპარაკი, მადამ ბალიელთ ხმა არ ამოუღია, თავის სიძეს უყურებდა გამჩხრეკს, გაკვირვებულის და შეწუხებულის თვალით. უსიტყუკრმა თხოვნამ ქმრისა მისისამ გამოიყვანა იგი ოცნებიდგან, რომლითაც იყო იგი გართული.

— გაათავეთ წერა? ჰკითხა მას დაუდევნელის სახით.

— ზეიდან ადრესის (სახელების) დაწერის მეტი არა უნდარა, მიუგო მადამ ბალიელმა.

— მე თითონ დავწერ. მანამ შენ პეტრეს უთხარ მოემზადოს; ესლავ უნდა წავიდოს პარიჟში.

— რა დიდი მიწერ მოწერაა? იკითხა შოდიემ, გამჩხრეკმა მწვანე მაუდზე დაწყობილის ქაღალდებისა.

— ხომ იცი, რომ ხვალ სადილის წვეულობა გვაქუს, ერთი

ათიოდ თერთმეტი სტუმარი უნდა გვყოლოდა პარიჟში. მიუგო უ. ბალიელ, მაგრამ ჩემი ცოლი როგორღაც შეუძლოთ არის და სხჳა დროსთჳს გადავდეთ სადილი.

— მგონია გთხოვეთ, პეტრეს დაძახება, თქჳს სახლის პატრონამა.

— ეხლავ ჩემო სულო, მიუგო ქმარმა და ეშურებოდა აღსრულებას.

რა ქმარი გავიდა, მადამ ბალიელ მოვიდა სათამაშო სტოლთან, დაჯდა და თითქო არაფერს ყურს არ უგდებდა თავის სიოქეს. შემდეგ რაოდენისამე ადრესის დაწერის, შეხედა მას გართობილის თვალით, და უთხრა იმისთანა ტონით თითქო ტაროსის ცვლილებას ჰკითხავდა.

— ნასკეთ ლაბუასიერ?

— იქიდან მოვდივარ ეს არის, მიუგო მოდიემ აგრეთვე დაუდევნელის სახით.

— როდესაც ფულების თხოვნა დაუწყეთ უარი არა გითხრათ რა?

— მე ისეთი ხერხი მქონდა, რომ ვერ მეტყოდა უარს.

— არ იქნება მითხრათ რა ხერხი გქონდათ?

— რას დასდევთ ლიანის ძიებას რადგან საქმე შესრულებულია.

მადამ ბალიელ სტოლისკენ დაუშო ცხვირი და კიდევ ორიოდ ადრესი დასწერა.

— თქჳენში აკციების გარდა სხჳა ლაპარაკი არა იყო რა?

ჰკითხა ქალმა, რომელიცა ცდილობდა დაეფარა შინაგანი აღრეულება.

— სხჳა საქმეზედაც ვილაპარაკეთ.

— ჰო.... მაგრამ იმისთანა არა იქნებოდა რა... რომ ღირდეს თქმად?

შოდიემ განჩხრიკა სახე თვისი სიდედრისა, რომელიცა წარმოადგენდა, წინააღმდეგ თუმცა ცდილობდა არა გამოჩენასა, მაინც ეტყობოდა საშინელი არეულობა. შეეცოდი მას, ამოიღო ჯიბიდან წიგნები, რომელნიც დაამშვიდებდენ ქალსა მას, დააწყო სტოლზე ჩუმათ სიტყჳს უთქმელათ.

მადამ ბალიელ გაკვირვებულმა აიღო პაკეთი. რა ვერა ნახა ზედან ადრესი, დახედა ბეჭედს და მაშინვე იცნა ღერბზე, რომ ლაბუასიერისა იყო. რა ეს ნახა, ერთი დაიკივლა გატეხა საჩქაროთ ბეჭედი. ბარათები გაიშალა სტოლზე. ამის დამნახველი დამნაშავე მეუღლე ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა სიხარულით, რომ იმისთანა საქმიდან მორჩენილი ნახა თავისი თავი. ცოტა გაუწყდა რომ გული არ შემოეყარა, მაგრამ თვისმა სიყაჩაღანემ დაიფარა. მწრაფლ მოვიდა გონებას. სიამოვნება გამოეხატა თვალებში; შემდეგ შეცრათ, წამოდგა, გამოართო ორივ ხელები სიძეს და მოუჭირა მაგრა.

— დღეს თქჳენ ჩემი გამაცოცხლებელი ხართ, სიცოცხლეზე მომეტებული ვალი დამდეთ, უთხრა მან გრძნობისაგან აკანკალებულის ხმით.

— კარგია დამალეთ ეგენი. თქჳენი ქმარი საცაა შემოვა, მიუგო შოდიემ ჩჳეულებრივის ცივის სისხლით.

მდამ ბალიელ მოაგროვა ბარათები და იმ დროს როცა უნდა ჩაეწყო ჯიბეში, შედგა იგი უეცრათ მოსვლის ფიქრი-საგან და დაეწყო თვლა.

— ტყუილი ჯაფაა უთხრა მან სიძემ; სულ ერთიან მანდ არის.

— სულა?

— სულ ორმოცდა სამია.

— დათვალეთ თქვენ? უთხრა მან როგორიღაც არევით.

— მხოლოთ დავთვალე და ბეჭედი დაგარწმუნებთ თქვენ, სხვა სურვილი შეტყობისა ჩემში არ იყო.

— თქვენ უსულგრძელესი, უკეთილშობილესი კაცი ყო-ფილხართ! ჩემს თავს არაოდეს არ ვაპატიებ მას, რაც დი-ლას თქვენ საქმე გიყავით. მე ვიჭკნეულობდი მაშინ, როდე-საც თქვენ იმისთანა სამსახურს მიწევდით, რომელიც ჩე-მის სისხლით არ მოისყიდება.

— ძალიან იაფათ გადიხდით მაგას, უთხრა შოდიემ.

— ო, თქვით! დაიყვირა უფალმა ბალიელმა, რომლისაცა მოუსვენებელი და ბძანებლობითი ხასიათი თითქო სრულებით შეიცვალა მადლობისა გამო.

— ვხედავ, რომ თქვენ თან და თან უკეთ ბძანდებით; ღა-მეს მოსვენებით გაატარებთ და ხვალ სრულებით კარგათ იქ-ნებით. ინებეთ და ჩემი გულისათჳს ხვალ პატიჟობის სადილს ნუ დაშლით.

— მადამ ბალიელ აიღო ბილეთები, რომლებშიაც ეწერა სადილის უარი. დასია სულ ლუკმა ლუკმა.

— ეს რა დიდი საქმეა. უთხრა ქალმა შემდგომ:— მთხო-ვეთ უმეტესი სამსახური, ბოლოს გთხოვთ, მომცეთ შემ-თხჳევა დაგიმტკიცოთ თუმცა ხანდის ხან სხჳა ნაირი გაუძ-ლებელი ხასიათები მაქჳს, მაგრამ არა ვარ უმადლობელი.

— აი პეტრე, თქჳა უეცრათ ზალაში შემოსულმა უფალმა ბალიელმა.

მოხუცი გაოცებული დარჩა, რა ნახა, რომ ორი საათის ჯაჭვა მისი იყო შემუსვრილი და ნაფსრეწი ქაღალდებისა აქა იქა გაფანტულნი ეყარა პოლზე.

— უთუოთ ცუდ ხელზე იყო დაწერილი, უთხრა მან შემ-ხედველმა თავის ცოლისა მტირალისა სახითა; რა ვიცი, რაც შემეძლო ვცდილობდი კი და.

— მაგას ვინ გეჳბნება? ლაპარაკი არ დააცალა მადამ ბალი-ელ, რომელიცა თავის ქმარმან მიიღო ჩჳეულებრივი ტონი; განზრახჳა გამოვცვალე, სადილი მოსდება ხვალ.

— რას ამბობ ჩემო საყჳარელო! მაგრე სუსტათ ხარ, რო-გორ იქნება.

— ახლა უკეთა ვარ.

— შენ აგრე გგონია, მაგრამ ჭსწორე არ უნდა იყოს....

— მე გეუბნებით, რომ უკეთა ვარ მეთქი.

— ძალიან მოხარული ვარ, თუ მართალია; მაგრამ არ შე-იძლება, რომ აგრე მალე....

—ახ, ღმერთო, უფალო ბალიელო, შენ მგონი გინდა რომ ხელ მეორეთ ავათ დავხდე, ნუ დაიშლი მაგისთანა ლაპარაკს. კიდევ გიმეორებთ, რომ მე კარგათა ვარ, და ხვალინდელი სადილი ერთს დღესაც არ გადაიდება.— ახლა თუ ინებებთ და გინდათ ჩემი სიამოვნება, უთხარით, რომ ჩუჱნ წავალთ პარიჟში შვიდ საათზე და ეკიპაჟი მზათ დაიჭიროს!

უფალმა ბალიელმა აღარ გასწია წინაღმდეგობა, მაშინვე გამოვიდა ახალის ბძანების აღსასრულებლად.

—ახლა რაკი დამშვიდით, უთხრა ორმოცდა ხუთის წლის ქალმა, რომლისაც შეტყობის სურვილი იმთენათ აღეგზნო, რაოდენიც განქრა მასში შიში, მიამბე რა მოხდა შენ და იმ კაცს შუა; ერთი მითხარით რა თვალით მაქცობით დაამშვიდე ბრიყვი და შეუწყნარებელი კაცი.

—რათ გინდათ იმ ამბის შეტყობა, რომელიცა გაგიღვიძებთ უსიამოვნო მოქმედებათ; მიუგო შოდიემ მძიმეთ, დღეის აას იქით მე და თქვენში მაგ საგანზე, რაც მოხდა, ლაპარაკი აღარ იყოს, რაჲცა მე შემეხება, ამას იქით აღარ მახსომს. თქუჱნ ჩემის ცოლის დედა ხართ; მაგ ღირსებას, როგორათაც თქუჱნ დიდას ამბობდით, მე მართებს სიყუარული და პატივისცემა თქუჱნი დანარჩენისა არა ვიცი რა. პირუჱლი ეს არის, რომ ჩუჱნ განვთავისუფლდით ძალიან საშიში კაცისაგან.

სხჳა უამისო სიძე შეუწყალებელი ჯავრის ამოსაყრელათ, იქნება ეტყოდა ცუდის ქცევისათჳს მადამ ბალიელსა ,,ის კაცი, რომელიც თქუჱნ გიყვარდათ გალერის ( ციმბირის ) ღირსი იყო!,, შოდიემ სულგრძელებით. რომელიც არის ყო-

მელოჳს დიდს ხარაქტერებში, აღარავრით აღარ შეაწუხა თავისი სიდედრი, რომლითაც უმეტესად დაამდაბლებდა მას.

— ჭბეც გათავდა, იმედი მაქჳს! დაიწყო მადამ ბალიელ გაწითლებულის შუბლით, ხვალისთჳს დაპატიჟებული იყო, მაგრამ მგონი აღარ მოვიდეს.

— მოვა, უთხრა მოდიემ.

— მაშ და როგორ გაბედამს! დაიყვირა მან.

— დიახ გაბედამს? იმას გამბედაობა არ აკლია, მაგრამ დარწმუნდით, მე აქ ვიქნები მიიღე ჩუჱულებრივ, და რაც უნდა მოხდეს თქუჱნ ნურასი გეშინიანთ, იმისი მე ვიცი.

ნახევარი საათი ძლივს გავიდა, რაც ქცევა სიდედრისა თავის სიძესთან სრულებით გამოიცვალა. მოდიე, რომელიც წინათ ისე იყო, თითქო მორჩილებისა თჳს დაბადებული, ესლა ლაპარაკობდა იმისთანა გამბედავს შემაერთებელის სიტყჳთ, და წარმოადგენდა კაცსა, რომელსაც ყოვლის უარის და წინააღმდეგობისა უნდა უფლება. მადამ ბალიელის მხრით, რომელსაც სძულდა ყოველი წინააღმდეგობა და თავის სახლობა ჰყავანდა სრულებით მონებასა შინა მადამ ბალიელ პირუტყლათ ისმენდა უპასუხოთ სხუათა რჩევას და მუხლს უხრიდა ძალასა მას, რომლისაცა არსებასა არა ჰგონებდა. და ეს მოახდენდა დიდსა ცვლილებასა. შინაურობითის ცხოვრებისასა. არ იქნებოდა არ შეენიშნა ქალისა მას, რომელ ძალა მისი ამას იქით დასუსტებულ იყო.

ჰკვირობდა მადამ ბალიელ სიძისგან მისთანა გადაწყჳტ-ტილს, გამბედავს ლაპარაკზე. გამსიჯავის თვალით შეხედა

მას და შეკრთა, რა ნახა სახესა მისსა შინა, ცივი განწყუეტილი დაუმარცხებელი ნება; აერია ისრე ვითარცა ხამი მცურავი, რომელიცა მოტყუებულ არს მდგომარე მდინარისაგან, და შემდეგ მცირედის ცურვისა იქნება მოტაცებულ სიმკვირცხლითა მდინარისათა.

— ჭეშმარიტად, უთხრა ქალმა, ძალადატანებულის ღიმით, დღეს აღარას რად აგდებთ და ძლივღა გცნობთ თქჳენ, რომელიც ჩჳეულებრივ იყავით, ჩუმი, წყნარი და უშფოთარი!

— ანუ გაწუნწკლული ქათამი? უთხრა მოდიემ კარგა გიბედვითი ირონიის ტონით.

— მე ეგ არ მითქვამს.

— ხომ ჰფიქრობდით, სულ ერთია ეგა. რა ვქნათ ჩემო საყუარელო სიდედრო, დღეებიც ერთი ერთმანეთს არა გვანან.

— ხარაკტერები (ხასიათები) ერთ მინუტზე არ იცვლებიან.

— ჩემი ხასიათიც სრულებით არ გამოცვლილა, მე ისევ ის ვარ, რაც გუშინ ვიყავ.

— რაც უნდა ვთქჳათ, გმოცანასავითა ხართ; თქჳენში ორნაირი კაცია; შენი შეხედვა, ხმა, მოძრაობა მე ახალი მგონია. საკვირველი გამოცანაა!

— გნებამთ გამოიცნოთ აზრი?

— ქალი ვარ, მიუგო მადამ ბალიელ, რომელიც ცდილობდა ღიმილით დაეფარა შიში თჳსი.

— და მე კაცი ვარ, მიუგო მოდიემ მძიმეს სახით, კაცი

ვარ ⁊ არა ავტომატი (ხის კაცი) როგორათაც თქუენ აქამომდე გეგონათ. აი გამოცანა ეს არის. ახლა რაკი მიცანით, ჩემი ხუთის თვის ქცევა რა საკვირველია გაგაკვირვებდათ: ორი სიტყჳთ აგიხსნით. მე არა ვარ ერთი ფალავანი, არც დიდი მცოდნე; ცოტა ჭკუა მაქუს ⁊ ნიჭი არაფერი, მაინც ვარ პატიოსანი კაცი, ჭეშმარიტების მოყვარული ⁊ თანამედებობის მონა. რა ჯვარი დავიწერე ვიცოდი რაიცა იყო ვალი მეუღლეობისა ⁊ ამისთჳს მინდოდა ბედნიერ მექმონა ცოლი ჩემი ⁊ სიყუარულით მეცხოვრნა ჩემს სახლობაში.

ჩემი ცოლის შერთვა ბიძა ჩემმა ისრე მოახდინა რომ მე იმთჳენი დრო არა მქონდა თქუენ გამეცანით. ეს ლაპარაკი თქუენ მოინდომეთ, ამისათჳს გთხოვთ მართლისათჳს არ გამიწყრეთ. ჩემი შეცთომობითი ქცევა თქუენდამი იყო ცუდათ მიღებული, როგორათაც თქუენგან, ისრე ადოლფინასაგან. ჩემი სიმამრისას ვერას ვიტყჳ, ამისთჳს, რომ არის ჩინებული კაცი! თქუენ, რომლისაგანაც მოველოდი ⁊ იყო დამოკიდებული ჩემი შინაგანი ბედნიერება, თქუენ არ ინებეთ, არ მიმხრეთ. არც ჩემ ქცევას, ჩემს სამსახურს, არც ჩემს სიყუარულს არ მიხედეთ ⁊ ჩემი ცოლიც თქუენს მაგალითს მისდევდა ყოველ ფერში.

— შენი ცოლის დანაშაული მე არ შემეხება, უთხრა ძადამ ბალიელ. რომელიც არ იყო, რომ სირცხვილით არ ისმენდა ამ კანონიერსა ყვედრებასა.

— რასა ბძანებთ, რომ ქალის დანაშაული დედას არ შეხებოდეს! დაიყვირა შოდიემ. მაშ ჰსჯული რათა ყოფს პასუხის გებაში მშობელთ თავის შვილთ დანაშაულზე? თუ ადოლფი-

ნს ცუდი მაგალითი თვალ წინ არა ჰქონიყო, მაშინ ის იქ-ნებოდა წესისა მებრ თანამდებობის მორჩილი და ეხლა ჩემ-თჳს საჭირო აღარ იქნებოდა მისთჳს დარიგება. იმისი შეც-დომილება არის თქუენი მიზეზი და მისთჳს ვარ მაზედ უფ-რო სულ გრძელი. ერთი კვირაზე, შემდეგ ჯვარის დაწერისა, მე ვიცოდი რაც ამბავი იყო, და თუ ჩემი თავის მოყუარულო-ბისათჳს არ მიმეხედნა, მაშინვე ყოველიფერს მოვიყუანდი წესიერებაში. მაგრამ მე მინდოდა, რომ ამისთანა საჩოთირო საქმეში სრულებით ჩემზე არა ვითარი საყუედური არა ყო-ფილიყო. ჩემი მოუთმენელი ხარაკტერი მივეც თავი მოთ-მინებას, მორჩილებას. ერთი სიტყჳთ მონებას, ვამბობდი თუ ამ ქცევით მე თქუენ ვერ დაგამშჳდებდით, მაშინ მქონდა ღონიერი ძალა ჩემგან ისრე ძვირათ ნაყიდი, რათა წინააღმ-დეგი მიყავით. იმ ექუსი თვიდამ ხუთი გავიდა, და რადგან შემთხუევამ მოიტანა ეს ლაპარაკი საჭიროთ რა ვრაცს კიდევ მოცდაში ვიყო მეექუსე თუეც. ამისთჳს დღეის ამას იქით-ან ვიწყებთ სრულებით ახალს წესიერებას და ცხოვრებას.

— ისევ ხომ არ ვიშლებით? ჰკითხა მადამ ბალიელ გაკჳრ-ვებულმა იმ სიტყვების გაგონებით. შემდეგ იმისთანა გადა-უხდელი სიკეთისა. იმდენ სულგრძელებასაც როგორ ვერ ის-მარებთ აღარ მოშიმულიათ. იმისთანა უბრალო საქმეზე, რო-მელიც ადვილი ასასრულებელია?

— ჩუენ აღარ ავიშლებით, თუ თქუენ თითონ არ მოინ-დომებთ. ჩემი სიძლიერი ბრძანებით, და ვიცი მაგ ხარისხს რაც სამსახური უნდა; თქუენ ყოველთჳს მპოვებთ, მორჩილს გამგონეს და ყოველს ფერს პატივის ცემას რაიცა თქუენთჳს

ჯერ არის; გარნა სახლის მოვლა დ̃ უფლება ახლა მე მსურს. უმორჩილესათ ქთხოვთ ეს კარგა დაისწავლოთ, დღეის ამას იქით აქ სხჳა ბძანებელი აღარ უნდა იყოს გარდა ჩემს მეტი.

ბენუა მოდიემ თავი დაუკრა თავისს სიდედრს სურიოზნათ დ̃ გავიდა ისრე, რომ არ მისცა მას დრო პასუხის გებისა.

სხჳა შემთხჳვევაში მადამ ბალიელ თავისს ძალსავე იხმარე-ბდა, რომელსაც ასე ცხადათ სტაცებდენ; გარნა ეხლა ისეთ მდგომარეობაში მიეცა რომელ ყოველი წინააღმდეგობა ფუ-ჭიდა იყო. დაემორჩილა უსიტყვიერათ ამა თჳსსა დამადაბლე-ბელსა საჭიროებასა.

მაინც კიდევ დამარცხება სულ არ იყო შესრულებული; რჩებოდა დასამორჩილებელათ მშვენიერი ოცდა სამის წლის ქალი. შესამართებელათ ძნელია, ბევრი იტყჳს, ვინც ყოფილა ამისთვნა შემთხვევით გამოცდილებაში. ესრეთ ბენუა მოდიეს ჯერ მთელი დღე არ მოეგო. დ̃ სრული ძლევა შემოსილი იქნებოდა სადამომდე, ვინ იცის ხჳალ დამარცხებულ იყო. ლაზუასიერმა იმ შეუწყალებელმა მხოცჳწლმა, რომელსაც უკჳე მოეკლა დუელში სამი კაცი, არ დაივიწყა საშინელის ფიცით, რათა ამოხოცოს ოთხივე სული", მოკჳლითა პატიოსანის კა-ცისა, რომელმანცა იცოდა მთხა შეცოდება ბოროტმოქმედისა?

ი.

შვიდის ნახევარი დაჰკრა უფალი ბალიელის სახლში, რომელიც იმას ეჭირათ ვანდომის ქუჩაში. სტუმრები ერთს გარდა სულ ერთიან ზალაში შეკრებილ იყვნენ. ქალებთაგანი, სახლის პატრონა და იმის ქალის გარდა, არავინ იყო; სტუმრები მომეტებული იყვნენ ადრინდელი მეგობრები უფალი ბალიელისა ისინი ეკუთვნოდენ იმა საზოგადოებასა, რომელთაცა საშუალ პარიჟის აღმატებულს სმიანობასა და მოდაში, აქვდათ დაცული შორის თჳსა მყუდროებითი ძველი ჩვეულება მოქალაქობისა.

გარდა პატივ-ცემულთ კაპიტალისტებისა, იყვნენ ორნი ყმაწვილთაგანი, რომელთა ქცევა, თუმცა სრულებით არა წარმოადგენდა ძველსა მამაპაპურსა ქცევასა, მაინც კი იმა კამპანიას ამხიარულებდა, მარჯვე და ძალა დაუტანებული ქცევა მათი; ეს წარმომდგენელნი აწინდელის ფრანციისანი ყოველთჳს სარგებლობდენ კეთილმხედველობასა მადამ ბალიელისა, რომელიცა, მგზავსად ბევრ სანში შესულთა ქალთა, მოხუც კაცმა შორის ვერღარა ჰპოებდა სიამოვნებას და ამისთჳს საშინლათ უყვარდა ყმაწვილი ხალხი. გარნა ეხლანდელი ქცევა მოდიეს სიდედრისა სრულებით განსხვავებული იყო რადაც საშინელი მწუხარებითი მოუთმენელობა იხატებოდა სახესა მისა და ყოველს ფეხის ხმაზე მრწოდა, და თუალი მისი წამ და უწამ უანგარიშოთ უყურებდა, ხან კარებს. ორჯელ კარების ზარის წკრიალმა შეასტუნა.

სადილი ექჳს საათზე იყო დანიშნული და სტუმრები წესს დაჩჳეულნი უსიამოვნოთ ხედავდენ, რომ სადილი გვიანდებოდა. ლაპარაკი წყდებოდა, თუმცა შოდიე ცდილობდა გავრცელებასა: გარნა მალა მოუთმენელი და ჩუმია. უფალი ბალიელ, რომელიც ჩუმათ, რაღაც ფიქრში, ბოლოს მოუბრუნდა ცოლს და უთხრა ნელის ხმით:

საყჳარელო, შვიდი საათი სრულდება, უთუოთ ლაბუასიერი არ მოვა; და ესეც, ჩჳენ რა ცერემონია გვმართებს იმასთან; როგორ გგონია? დრო არ არის დავსხდეთ?

ამ დროს მოისმა ზარის ხმა ისე ძრიელათ, რომელ მადამ ბალიელს დაუშალა პასუხის მიცემა და შიშმა შეახტუნა. ყველა სტუმრის თვალებმა შეხედეს კარებს; და საყოველთაო სასიხარულოთ, მსწრაფლ განელო, და შემოსულმა ბიჭმა მოახსენა მოსვლა ლაბუასიერისა.

უწინ თურმე ომის წინ, კოროლთან მხლებელი ყმაწვილენი კაცნი, ჩაიცვამდენ საუკეთესო ტანისამოსსა, პარიკს გაიკეთებდენ მოარშიყულს. მგზავად ამისა საჭო სპეკულატორის, რომელიც უფრო გვანდა სამხედროს კაცს, მორთულ იყო რაც კი შეიძლებოდა. თუმცა ყოველთჳს გამოჩენით იმოსებოდა, გარნა ესლა გადამეტებით იყო ჩაცმული. გულზე მანიშკასა და ღალვტუხზე ბრწყინავდა ბრილიანტის ღილები. ოქროს ჯაჭვი, თითებზე ძვირფასი ბეჭდები. ამ სადილისათჳს ჩაეცვა ლაქიროვანი ბაშმაკები, გძელი აბრეშუმის ჩულქები, და ასე იყო გაბრწყინვებული, რომ უეცრათ უღვიძებდა კითხჳას: კაცი ამშვენებდა ტანისამოსს თუ ტანისამოსი კაცსა?

ამასთან ესეც, რომ იმისი წითელი თმა, დასუჭუჭებული გაბურძნულს კავებით, გვანდენ ლომის გეჯერს, ხოლო წითელი, მწვეტი, გაფაბრული ულვაშები—ტასის ემვებს.

როგორათაც მუშა ხალხთ აქჳთ სამუშაო დღისთჳს სხჳა ტანისამოსი, დ~ დღესასწაულისათჳს სხჳა დ~ იცმენ თავ თავის რიგზე, ეგრეთჳე ლაბუასიერიც. როგორათაც სპეკულიანტი, იცვამდა სხჳა დ~ სხჳა ტანისამოსს, შემთხჳევისა მებრ. ესლა, რა განატარა მთელი კვირა ცუდს სპეკულაციაში, ჩეეცვა დუელისტის ტანთ საცმელი. გადაწყჳეტილის განზრახვით, რათა ორშაბათი უთუოთ უნდა განატაროს ბულონის (*) ტყეში

რა შევიდა სასტუმრო ოთახში პირჳელათ მივიდა მადამ ბალიელთან დ~ დაუკრა თავი საშინლის დაცინებითის სახით, ეგრეთჳე შესხდა ბრიყულათ სახლის პატრონს დ~ ადოლფინას. კი ასე ეშხიანი თვალით დააცქერდა, რომელ ადოლფინა იმ შეხედვით გაწითლდა. აქეთ იქით დაუწყო თვალით ძებნა სსხჳერპლისა, რომლისაცა შემუსვრა განიძრახა დ~ უთუოთ უნდა აღესრულებინა ესე მეორეს დღეს. მსხჳერპლი იგი ზურგ შემოქცეული, თავის თჳს მყუდროებით ლაპარაკში იყო; რა დაინახა შოლიე, ლაბუასიერი გაიწია, თავი უკან გადიგდო, როგორათაც მამალმა მომზადებულმა საჩხუბრათ. ამ სასიამოვნო სანახავ მდგომარეობაში უეცრათ ასეთი ხმით დაიყვირა, რომელ ყოველი ლაპარაკი გაასჩუმა.

— ძალიან მიყვარს უფალო შოლიევ, დაიწყო მან:— რომ თქჳენ გაგიბედნიათ აქ ყოფნა, როდესაც იცოდით ჩემი

(*) ყოველი დუელი თითქმის ბულონის ტყეში წარმოებს პარიჟში.

მოსვლა! მე მგონი აღიკრძალეთ ჩემთან სადმე შესვედრა, თუ მეხსიერება გაკლიათ და არ გახსოვთ, მე ამ ჩემის წყევლით მოგაგონებთ.

შეიქნა უსიამოვნების ხმა. სტუმართ, რომელნიც ჰფიქრობდენ სადილს, დაკარგეს ცოტა ხნობით მადა; ადოლფინა და დედა მისი ადგენ შიშისაგან გაყვითლებულები; უფალი ბალიელ, რომელიც თავის მამაცობას ჰკარგავდა მხოლოთ თავის ცოლის წინ. აქ გაწყრა, უნდოდა უთუოთ მისულიყო იმა კაცთან, რომელმაც ისე გაკიცხა სიძე მისი, გარნა მოსუცთ არა გაუშვეს.

ამ არეულობაში, მხოლოთ მარტო გაკიცხული იყო ცივის სისხლით. მოთმინებით მოიცადა, მანამ ლაბუასიერ გაათავებდა თავის ბაქებს, ბოლოს ხელით ანიშნა, რომელიცა ცხადი იყო: ,, მე მზა გახლავარ თქვენს სამსახურზე ,, შემდეგ მიუბრუნდა უმაწვილთ კაცთ, რომელთაც აქამომდენ ელაპარაკებოდა და უთხრა იმათ ჩუმათ:

— უფალო რიუ, უფალო მილანდრ, ბუაიე და თქვენც ჟოლიევ, გთხოვთ მე გამომყვნეთ.

რა გამაარჩია სტუმრებში ვინც უმაწვილები იყვნენ, ბენუა შოდიე მივიდა ლაბუასიერთან და მშვიდობიანათ უთხრა:

— მოწყალეო ჴელმწიფევ, თქვენ ასე აღტაცებით დაიწყეთ, რომ არ შეიძლება უარი ეყო თქვენს გამოთხოვნას, გარნა ეს გოსტინა გამოსათხოვნათ ვარგოდა, ხოლო პასუხისათვის არ ივარგებს; არა გნებამთ, გამომყევეთ პერედნაში?

— ბატონი ბძანდებით, დაიყვირა დუელისტმა: — თუნდა ჯოჯოხეთში! და ამაყათ წავიდა კარებისკენ.

რომელთამე სტუმართაგანთ უნდოდათ დეეყენებინათ იგი- ნი; გარნა მოწინაალმდეგე, არა ვისი სიტყუ̂ა არ გაიგონეს და თავისუფლათ წავიდნენ. გასვლის დროს შოდიე მობ- რუნდა:

— თქუ̂ენ უბძანეთ სადილი, დაუყვირა შოდიემ თავის სი- დედრს: — საქმე ხულ ხუთს მინუტს არ გასწევს.

ამ სიტყჳს შემდეგ, კარები მოხურა და წავიდა თავის მო- წინაალმდეგესთან და მოწმებისკენ, რომელთაც ჰერედნიიდგან რაც მოსამსახურები იყუ̂ნენ დაეთხოვნათ.

— ბატონებო! დაიყვირა ბუაიემ, მანამ საქმე გახურდება მე ვგონებ ...

— მაგაზე მეტს ნუღარს იტყჳ ბუაიე, უთხრა შოდიემ: — თქუ̂ენ ბატონებო. შესხედით ფანჯარის თახჩებზე, რომ მეი- დანი მოცლილი იყუ̂ს ფალავნებისათჳს. ეს იქნება ტრადი- კომედია მალე აგიხსნით: მხოლოთ ამას გთხოვთ, ხმა არა- ვინ ამოიღოთ ან არავინ დაგვიშალოს.

ადოლფინას ქმარი ასეთი სახით ლაპარაკობდა, რომელ ყმაწვილნი კაცნი უნდობრათ დაემორჩილნენ. ამის შორის ლაბუასიერ უკუ̂ნ იდგა, საშუალ ოთახისა უძრავათ და გულ ხელ დაკრეფილი, გამოთხოვნის თვალით და სიანჩხლის სახით, ამაყათ ელოდა ბრძოლასა. შოდიემ გაწყვიტა სიჩუმე.

— ეს კაცი, რომელსაც ყველანი იცნობთ, დაიყვირა მან მაღალის ხმით, თითონ მჩვენებულმა მოწინაალმდეგისა: — მა-

ლას მატანს დოელში გასვლისას. თუ დუელისტი იყოს მარტო, მე უთუოთ ვცემდი პატივს, და იარაღის გამორჩევაც ჩემი რიგი იყო, ვითარცა გავიცხულისა. თუნდა არჩევანზედაც გვესროლა, (*) მაშინ მეცოდინებოდა, რომ დუელისტთან ვიბძვი და არა პლუტთან!

— ეგ შესაზიზღი გაკიცხვაა! დაიყვირა სპეკულანტმა, რომელშიაც რა ყალბი თამასუქები აღარ იყო, გამბედაობა ემატებოდა.

— მგონი, მიუგო შოდიემ: — რომელ პატიოსანი კაცი არ მისცემს აბიდასს სამაგელს მზაკვარს. მე გუშინწინათვე ვაცნობე უფალს ლაბუასიერს. რომელ პირუტყულსავე სიბრიყვეზე გადავასხლევინებდი. თქჳენ მოწამენი იყავით ხომ ჩემის აბიდისა, და ახლა მოწამე იყავით, როგორც გადავასხლევინებ.

რა ეს სიტყჳა თქჳა, შოდიემ საჩქაროთ აიღო ჯოხი, რომელიც კუთხეში ეყუდა.

— შოდიე! რას შვრები, რა გინდა მოახდინო, დაიყვირეს მოწმეებმა და მისცვინდნენ მას.

— იქით! შეყვირა მან საშინელის ბრეტონულის სიწრაფით ჯოხის თავზე ტრიალით. განა ვერა ხედამთ ჩემს მოწინაღმდეგეს რაც იარაღი გამოურჩევია საჩხუბრათ.

---

(*) არჩევანზე დამბაჩის სროლა ის არის: ერთს დამბაჩას გასტენენ და ერთს არა, მოწმები წილს უყრიან მოწინაღმდეგენი და ისე მისცემენ.

ყველამ შეხედეს ლაბუასიერს, აქამდენ გულზედ დაკრეფილი ხელები ჩამოუშო, მარჯჳენაში უპრიალებდა ხანჯალი. ამან შეაწუხა იქ მყოფნი, და ორნი მოწმებთაგანი მიიპარებოდენ დუელისტისაკენ, რათა წაერთმივათ ხანჯალი, გარნა მან შე-ნიშნა და მივიდა ერთს კუთხეში ოთახისა.

— ჩამოდექით, ჰატონებო! დაიყვირა მან.

— ალაგი დაგვიგდეთ, ალაგი! ჰსთქჳა შოდიემაც, მაგას დუელი უნდოდა — და აი: იარაღიც კარგი გამოურჩევია. როგორათაც ხანჯალი ღირსია ფალშივი თამასუქების გამკეთებ-ლის ხელში, ეგრეთუჳ მოუხდება იმის ზურგს ჯოხი.

შემდგომ, არა გამგონე მეგობართა თჳსთა რჩევისა, ისი-ნიც ვერა ბედამდენ ძალათი დეეეენებინათ, შოდიე საჩქაროთ მივიდა ლაბუასიერთან.

— მოწამენი იყავით, ბატონებო. რომ იძულებულს მყო-ფენ და ჩემი თავი უნდა დავიფარო, დაიყვირა ლაბუასიერმა, მომზადებულმა, საომრათ:— მარცხენა ხელი მაღლა თავმ-დენ აიღო, ხოლო მარჯჳენაში, ხანჯალი ეჭირა მზა დაკვრი-სათჳს.

წინააღმდეგენი, ჩუმათ დადგდენ სამ ნაბიჯზე ერთი ერთ-მანეთზე, მსწრაფის თვალით შინჯამდენ ყოველს მოძრაობას ერთი ერთმანეთისას.

— დაკვრა დაკვრაში იყოს, დაიყვირა ლაბუასიერმა, რა ნა-ხა რომ ბენუამ ხელი შეიმაღლა.

მეტი ვეღარა მოასწრო რა ეთქჳა, ვეღარც ხანჯალი მო-

იხმარა, როგორც ჰფიქრობდა: ბრეტონელი ასე მარდათ თვალ მოუსწრებლათ ხმარობდა ჯოხსა, რომელ ძნელი იყო იმისი მოქმედების დანახვაც, ორჯელ ცოტა დაუკლდა თავში არ მოასხვედრა მოპირდაპირეს, მასუკან, მოიქნივა. მარჯვნივ და მარცხნივ გაჰკვეთა ჰაერი, და ბოლოს ასეთი მედგრათ დაჰკრა ლაბუასიერს მარჯვენა ხელში, რომ მან შეუშვირა და სახიჯჳლი-ლო იარალი გადააგდო, რომელიც წკრიალით დაეცა პოლზე. შოდიე მაშინვე მივარდა უიარალო მტერს, სტაცა საყელოში ხელი, გამოათრია შუა ოთახში და კარგა ლამაზათ ჯოხით აუჭრელა ზურგი.

— სიკჳდილი არ მინდა თქჳენი, მხოლოდ მინდა გაგწრთუ-ვნა, უთხრა მან და თავი დაანება. თუ ეს უროკის სწავლა საკ-მაო არ არის, მე მზა ვარ გავიმეოროთ მეორეთ და თუ არ დაიღლით მესამეთ.—

ლაბუასიერს ბევრჯელ მოუხდა, რომ ორის თითის დადე-ბაზე მიშველა შპაგის წვერი გულთან უკჳე იყო მიტანილი, ანუ ფეხზე შემოყენებულის დამბაჩის ტუჩი, და მაშინ არასო-დეს გონება არც ერთხელ მოჰკლებია ამისთანა საშიშ დროს; გარნა ეხლა, სირცხვილმა წაუღო სრულობით ძალა და გონე-ბა. თავ ბრუ დაესხა, მუხლები მოეკეცა და ძლივ წვალებით სკამთან მიეთრა და დაეცა მკვდარივით სირცხვილისა და სიან-ჩხლისაგან.

თუმცა მალე გათავდა ბრძოლა იგი, მაინც მარტო გამორ-ჩეულ მოწმების მეტი სხჳა გარეშე პირნიც იყუნენ მხილ-ველნი ამა სცენისა. მართალია შუა მეიდანი გარდა მეომართა

ცარიელი იყო, ამისთჳს ერთისა სანჯალი დ მგორისა ბრეტონული მარჯჳჵ ჯოხი გასაფთხილებელი იყო; გარნა ყოველი კარებიდგან იყურებოდნენ შეშინებულნი დ შეტყობის მსურველნი პირნი სტუმართა დ მოსამსახურეთა. უფალმა ბალიელმა, იმისმა ცოლმა დ ადოლფინამ ამ ტრალი-კომედიიდგან ერთი მოძრაობაც არღა იყო რომ არ დაინახეს.

ასე აირივნენ ყველანი, რომელ, როცა გათავდა ჳვჳჵ ყველაფერი. კიდევ დიდ ხან მეფობდა მთელს სახლში სიმყუდროვე დ სიჩუმე. ყველა მონათესავე დ მცნობნი, ერთიან, სახლის პატრონიდგან დაწყებული მოსამსახურედგან, თვალები დეეჭყიტათ დაღებულის პირით, ელოდნენ რაღასაც, თითქო იმათი შეტყობის სურვილი სრულებით არ იყო დაკმაყოფილებული, ხოლო ბევრთ, რომელთაც ლაბუხსიერის ისეთი ბაქები არ მოეწონათ, კინაღამ დაიყვირეს: „კიდევ დაჭკარით!„

— ბატონებო, უთხრა შოდიემ:— პიესა გათავდა! ახლა კი სადილის დროა. ჟაკ! მოუტანე შლიაპა უფალს ლაბუასიერს დ ქუჩამდენ გაიყვანე. უფალო გიშარ, უთხრა ბენუამ უფროს სტუმართაგანს:— ინებეთ ხელის მოკიდება მადამ ბალიელისა დ გაგვიძეხით სტოლისკენ: კმარა ამტყენი ხანი უსადილობა.

ბენუა შოდიემ, რომელიც აქამომდე ბძანებას არათ გადიოდა თავის ხიდედრის სახლში, ნახა, რომელ მისი ბძანება იმავე წამს აღასრულეს. დამარცხება ვისიმე ყოველთჳს ასეა, თუნდა მეშტიც იყოს, მაინც სხჳსათა აზრში ამაღლებული იქნება ის ვინც გაიმარჯჳჵბს.

ლაბუასიერმა, სრულებით გონება დაფანტულმა წინააღმდეგობა აღარ გასწივა რა თავის ქუჩაში გაყჳანაზე. ბოლოს ნახა თავისი თავი ვენდომის ქუჩაში ტროტუარზე, ვერ მოფიქრნა, ცხადლივ თუ სიზმარში აუხდა სულის ამბავი, მაინც სიზმარს მიაწერა ყოველივე.

— მე და ისეთი აბიდა! თქჳა თავისთჳს დაცინებითის ეკვით: — მე რომელმაც სამი სული გავისტუმრე იმ საუკუნეს დოელში ეს როგორ იქნებოდა! უთუოთ მომეტებული ვსვი სადილზე და მერე სიზმარში მეჩჳენა? დიახ, მე მთვრალი ვარ, და ეტყობა ბევრჯელ წავქცეულვარ, თორემ მარჯჳენა მკლავი ასე რათ დამიწყებდა ტკივილს!

ამასობაში, სხჳა პირნი ამა ამბისა შედიოდენ აღთქმულს ალაგს-სადილის ოთახში, ზალაში სადაც უნდა გეევლოთ, მოდიემ დააყენა უკან თავისი მოწმები.

— უფალნო, ახალი ფრანციის წარმომდგენელნო, გზა მიეცით, ჯერ მკვლელებმა გაიარონ, ხოლო თქჳენ ერთს მინუტს აქ შეიცადეთ, მე თქჳენთან ცოტა სალაპარაკო მაქჳს.

ოთხივე მოწამები საჩქაროთ შემოესვივნენ მას,

უფალნო! დაიწყო მან სერიოზნათ: — წეღან მოგახსენეთ მიზეზი რისთჳსაც ლაბუასიერს უყავ უარი დოელში გასვლისათჳს; გარნა არ ვიცი საკმაო იყო თქჳენთჳს ის ჩემი გამოცხადება. დოელს აქჳს ასეთი მრისხანე კანონები, რამეთუ უარი, რომელსაც მე ვგონებ სამართლიანად, იქნება თქჳენ გაჩჳენოთ წინააღმდეგ კანონთა პატიოსნებისა. ეგ ჩემთჳს იქნებოდა დიდათ შესაწუხებელი. და აი რას მოგახსენებთ: თქ-

უენ აქ ოთხნი ბძანდებით, ოთხისავე მე მაქუს განუსაზღვრებელი სიყუარული და პატივის ცემა; თქუენი კეთილი აზრი ჩემთჳს ძვირფასია, ამისათჳს არ მინდა უბრალოთ დავჰკარგომბე. თუ თქუენში ფიქრობს ვინმე სხუა რიგათ და ჩემს ქცევას ცუდათ თარგმნის, ან გონია მე მეშინოდეს დოელში გასვლა, მე იმასა ვსთხოვ უმორჩილესად მიბძანოს რათა მე უთხრა მას მიზეზი და დაუმტკიცო შეცდომა თჳსი.

ოთხთავე უმაწვილთ კაცთ, ერთათ მისცეს ხელები შოდიეს და მეგობრულათ მოუჭირეს.

— მასხარათ გვიგდებს, უთხრა მხიარულებითა უფ- რიემ; შენს ალაგს მე უარესაც უზემდი. ჩემთჳს არ არის საჭირო შევიტყო მიზეზი თქუენი და ლაბუასიერის ჩხუბისა, რომ მით იმის სიპლუტეს დავერწმუნო.

— ძალიან კარგი უყავით, თქუენმა მზემ, უთხრა მილანჟმა იქნება მაგითი მოიშალოს ცოტაც არის თავისი სიბრიყვე.

— საკვირველია! უთხრა ეგრეთუე ჟოოიემ მაგისთანა პატარა კაცმა რჯები მოახდინე, მაგრამ ღონეც კარგი რამ ყოფილა! უთუოთ თქუენ ბრეტონში დუნე ხელებიანი არ გამოდგება.

— ეს ძალიან კარგი მოხდა, თქუა ბუაიემ, რომ ამას იქით ის ველარ გაბედამს ტორტონისას მისვლას.

— მაშა სადამე, ბატონებო, თქუენ ოთხნივე მე მამართულებთ ? ჰკითხა შოდიემ.

— სრულებით, ერთიან, მიუგეს ოთხთავე ერთათ.

— მაშ წავიდეთ დავსხდეთ სტოლზე!

სტუმრების ფიქრი ისევე იმ შემთხვევით იყო სავს მით ცოტა მალა მოჭკლებოდათ ეტყობოდათ. რომელ ბრეტო ნიელის ჯოხი კიდევ აკვირვებდათ მათ. თუ სადილი უმადლო იჭმეოდა, მაგიერ ამისა, იყო გაცხოველებული გასურებულ და მაღალის ლაპარაკით. ყველამ თითო მარჯვე სიტყუა წარ მოთქუა თჳთ უტყველნი შეიქნენ მოლაპარაკენი. სპეკულანტ დოელისტი, რომელიცა, უკანასკნელი თჳსებისათჳს იყო სა შიშარი. ეხლა გახდა უკანასკნელი მასხარა და გამტყუნებულ ყველასაგან.

სადილის გათავებამდე, პირბადე, დიდხან დამხშველი ადოლ ფინას თვალების სრულებით დაიფხრიწა. ლაბუასიერი იმის თჳს სხჳა აღარა იყორა, გარდა პლეტისა; ორთა ქალთ, სირ ცხვილის სიწითლით შუბლზე და წრფელის გულით, ღმერთ მადლობას სწირავდენ ერთი, მისთჳს რომ დიდხან არ დარჩ იმის მონებას ქვეშ, მეორე რომ არ დაკავშირდა იმისთან საძაგელს კაცს.

სადილს შემდეგ, ყველა სტუმრები წავიდნენ თავთავისათ როდესაც უკანასკნელი იღებდენ თავიანთ ქუდებს მაშინ მი ვიდა შოდიე და თავის სიდედრს ყურში უჩურჩულა:

— თქუენი ქმარი როგორმე მოიშორეთ; მე ადოლფინას უნდა ველაპარაკო მხოლოდ თქუენთან.

— საყუარელო, უთხრა მაშინვე მადამ ბალიელმა თავის ქმარს. რადგან სტუმრები წავიდნენ, ერთი თქუენ აფთეკარ თან მიდით და ჩემი აბები გამოართვით რომელმაც აქამომდე არ გამოგზავნა!

— სულო ჯან და, მიუგო საწყალმა: — ეხლა ათი საათია; არ იქნება ბიჭი გავგზავნოთ, რომელიც აღასრულებს . . . .

— სულელია; ისე ვერ მიუტანს ამბავს, და შენს მეტს ვერავის ვენდობი; ჟაკი თან წაიყვანე.

დაჩჳეული მორჩილებას უფალი ბალიელ მაშინვე გავიდა, რათა ცოლის ბძანება აესრულებინა.

როდესაც ყველანი გავიდნენ, ვისაც საჭირო არ იყვნენ, მაშინ შოდიე ორის ქალის პირდაპირ დაჯდა.

საყვარელო ადოლფინავ, უთხრა მან ალერსიანის, მასთან მძიმე ტონით: — გუშინ დედა თქუენთან მქონდა ლაპარაკი; იმედი მაქუს თითონ ეგენი აგიხსნიან, ამისთჳს, რომ მე არ მიყუარს გამეორება. დღეს ჩემთჳს საკმაო იქნება ცოტაოდენი დარიგება მოგცე, რომელიც საჭიროა უთუოთ. მე ლამაზი არა ვარ, არა ვარ დიდი ჭკუის პატრონი, არ ვიცი ის სატრფო ალერსიანი ქცევა, — ეს ჩემი საკუთარი აზრი ჩემს თავზე! მხოლოთ შენი აზრი უფრო იქნება სასტიკი იყოს; მე ვიცი, რომ შენ თვალში საძაგელი ვარ. სულელი და გასინჯე გაუძლებელი.

— ბენუა, მაგეებს როგორ ამბობთ? დაიყვირა 'ყმაწვილმა ქალმა, შერცხვენილმა ამა წინასიტყვაობისაგან.

— ძალიან მსურს, რომ მოგეწონო შენა, მაგრამ რავქნა! ბუნებამ არ მომცა ის ღირსება, რომელიც შენ ისე მოგწონს, ამისთჳს საყუარლის ხარისხიდან გამოვდივარ და უნდა ვიკმაყოფილო ქრმობის ძალით. გარნა ამა ძალას, უთხრა მან მაგარის სიტყვით: — ისე დავიჭერ, რომ პატივი ჴსცენ და მორ-

ჩილ ექმნენ. წარსულს აღარას გეტყვი, გარნა უნდა გითხრა,
რომ შენი ლაზუასიერთან ქცევა რიგიანი არ იყო; პირველის
თჳხმიპატივებიას; მაგრამ თუ მეორეთ მოხდა, მე მაშინ ვეღარ
დაგითმობ და იქნები დასჯილი. ეხლა აბა შენა თქვი, რა გინ
და: გაყრა თუ შეთჳხვება? მხოლოთ წინდა-წინ იფიქრე შენი
გადაწყვეტილება. შენ ხომ ნახე დღეს, რა რიგათ ვიცი ბრიყვ
ამაყთ დასჯა, იმას ნუ ეცდები მიმიყვანო იქამდე, რათა და
გიმტკიცო რომ შემცოდეთ გადახდევინება უფრო ვიცი.

შეშინებული ამა შენიშვნითა, ადოლფინა აკანკალებულ
ხმით ცდილობდა თავის მართლობას. გარნა ქმარმა არ გაათ
ვებინა.

— მაგაზე მეტს ნუღარას იტყვი, უთხრა მან:— მე მხო
ლოთ შენ წინათ გაცნობებ, რომ მე თანახმად შენის ქცევი
შლაპა დაიხურე; დროა რომ წავიდეთ; სამი მილია აქედ
ჩვენამდენ, მანამ მე კარეტას ვნახამ მზაა თუ არა.

— ახა ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია? დაიყვირა მად
შოდიემ, როდესაც იმისი ქმარი გავიდა გოსტინიდგან.

— ეს ამას ნიშნავს, მიუგო მადამ ბალიელ:— რომ მაგ
თავისის თავ მოკატუნებით. ორნივ მოგვატყუა, აქამდენ ბატ
კანი იყო ახლა მგლათ გადაიქცა, ეხლა გაფთხილდი მატყუ
მაგიერ კბილებს არ შეხვდე.

— რა რიგათ შემაშინა! იმისს თვალები დაინახეთ, რო
ლაპარაკობდა? თითქო ოტელლო უცქერის დამნაშავე დეზდ
მონას.

— გეუბნები, რომ ნამდვილი მგელია. ამისთჳს შეიძ

გადააგდე ეგ შენი კოკეტკობა და ყოველი არშიყობა, თორემ იცოდე ერთიან ჩაგყლაპამს.

— განა მართლა მაგისთანაა?....

— ჰსწორეთ, არა არის რა იმისთანა ცუდი, როგორათაც დაგუბებული წყალი, გარნა შენ თითონ. დაინახე როგორიც არის საქმეში.

შეწრწუნდა ადოლფინა და ღრმათ ამოიოხრა....

ერთი რუბის შემდეგ, უმაწვილი ცოლქმარი თავის ქალაქს გარეთის სახლის გზაზე იყჳნენ.

შემდეგ დიდის ფიქრისა, რათა უფრო რიგიანათ ეძია სისხლი თჳსი დიუსტავ ლაბუასიერმა ბოლოს გარდასწყვიტა, რომ რადგან იმისი წინააღმდეგი დოელში არ გადის, სხჳა ღონის ძიება არ იყო, გარნა იმის მოკვლისა.

შოდიე მიხვდა, რომ კაცმა, რომელმაც გაბედა ფალშივი თამასუქების შედგენა, ვერ გაბედამს იმისთანა საქმეს, რომლისა გამტყუნების შემდეგ ისიც მოკვლება. ეს ამბავი, მოიფინა პარიჟში იმის მცნობთ შორის და ამისთჳს აქ ყოფნალა ძნელი იყო მისთჳს, სპეკულანტ-დოელისტმა აიტანა თავისი გაკიცხვა, და რა გაიტანა კარგა მაგრა, ჯიბეები, წავიდა ბრიუსელში, სადაც ჩჳეულებრივ იმისი ხალის ხალხი იკრიფება. დიუსტავ ლაბუასიერს წასვლაზე პარიჟში ბევრნი, ძალიან ბევრნი ჰსწუხდენ.... სახელდობრ ისინი, რომელნიც შემდეგ იმის წასვლისა დარჩნენ ცარიელის ჯიბეებით.—

რა ცოლმა გამოიცვალა ცხოვრება თჳსი, საწყალი მოხუცი, იძულებულ იყო, კვირაში ორჯელ მარხვისა და წირვაზე წასვლისა.

ადოლფინას, თუმცა რომანული ტრფობა არა ჰქონდა თავისი ქმრისა, მაინც კი შეუყვარდა იგი, და შემდეგ ორმა შვილმა, რომელიც მიეცა იმას, უფრო დაამტკიცეს კავშირი იგი.

რა ქალი დედობაში შევა. ქალური კოკეტობა გაუქრება. უფალი შოდიე მაყურებელი თავისის თმა ხუჭუჭა შვილების გრძნობდა, რომელ უწინდელი ვნებანი განუქრენ მას ნელნელა. შვილები მისთჳს იყვნენ ვითარცა მფარველი ანგელოზნი; მაინც ქმარიც მღვიძარებით ექცეოდა და ესეც აშინებდა მას. რა საკვირველია უკეთესი იყო, თუ მხოლოდ მას უყვარდა იგი; გარნა რ ო შ ე ფ უ კ ო ამბობს: «ჰსწორე, ერთგული სიყუარული! არის როგორათაც ჰაერთა სულნი, ყველანი მაზედ ლაპარაკობენ, და მგონი ბევრს კი არავის უნახამს».

ბენუა შოდიემ თავისის დადგრომილის ხასიათით იმეცადინა და თავის სახლი დაიცვა ყოვლის შფოთისაგან. პატივის მცემელი თავისის სიზნისა, რომელთანა იყო დაკავშირებული; ალერსიანი, გარნა არა სუსტი; თჳთ მნებებელი, გარნა უძალადო, ბრძანებლობს თავის სახლში,— ესე. რომელიც ძვირათ არის ქრმებთა შორის. სიმამრს უყუარს და პატივს ჰსცემს, რომელიც ეს უფრო ძვირათ მოხდება ხოლმე. ბოლოს ჰსცხოვრებს იგი სრულსა თანხმობაში თავის სიდედრთან,— ეს მდგომარეობა ასე ძვირია, რომ ჩუენ აღარ დაუმატებთ აღარც ერთს სიტყუას, რათა მით არ დავასუსტოთ ესე ძნელად მოსახდენელი ჩუენ დროში საქმე.—

# ჯსწავლა და ქელოვნება.

## განგრძელება მეფის ვახტანგის ანბავისა.

---

ერთსა კაცსა ცოლი შვილი ჰყვანდეს ტკბილთად ზურგთ ეკიდოს,
არა ჰქონდეს სახლ სამყოფი ფეხი ვერსად მოეკიდოს,
უკანიდამ მტერი სცემდეს წინ მოყვარეს წაეკიდოს,
და ამისთანა უგუნურსა უნდა ცეცხლი წაეკიდოს.

მართალს ვიტყვი არ დავმალი მძულს ტყუილი სიტყუა მრუდი,
მე მას მამად მოვიკიდებ, ვეშვილები თუმცა უნდი
გარს გვარტყია ვით სარტყელი სულ სხუა და სხუა მტერთა ბუნდი,
და ჩუენ ერთმანეთს კმალსა ვსცემდეთ ეგ რჩევაა დიას ცუდი.

წიგნის მიწერა კახის ბატონისაგან ქართველთ ბატონთან და მეგობრობის თხოვნაა,

მოსთხოვა გურგენ მდივანსა ქაღალდი საწერ კალამი,
დახატა ცეცხლი გალავნად შუა ერთ გორად წალამი,
ზედ ორის ქჩუჭუნის იგავი მაზედ თავ დახრით ალამი.
და ერთზედ დასწერა ფეშქაშლურ და მეორეზედ ხალამი.

მისწერა ვახტანგს შენ მამა ჩუჱნ ვიყვნეთ შენი შვილები,
თუმცა მიბოძა ყაენმა მე ქართლისა არ გეცილები,
გარს მტერთგან ცეცხლი გვედების შუა ჩუჱნ ვსდნებით ცვი-
ლები,
და სჯობს რომ ჩუჱნ ერთნი შევიქნათ ეგებ გვედიროს მო-
ლები.

აწ გვიწყალობეთ პასუხი თქუჱნგნითა რა გვებრძანებაო,
თქუჱნი არ ჭვრეტნა შორს ყოფნა გონებით არ გვეთნებაო,
გვწადიან თქუჱნი გვერთ ხლება თუმცა დაგვერთვის ნებაო,
და მანდ გიახლებით მოგვმადლე მამა შვილური მცნებაო.

რაღას ვაგრძელებ სიტყუასა და ვამბობ ყენებ ყენებით,
მისცეს წიგნი და წაიღეს წამლებთა ცხენებ ჭენებით,
მიართვეს მეფე ვახტანგსა მოციქულთ გამომჩვენებით,
და აქ ნახეთ საქმე კეთილი ვით გაბოროტდეს ენებით.

მეფემ რა წიგნი გასინჯა ჳსცნა ტკბილად მიწერილობა,
ბრძანა დიდებულთ მოყმეთა ერთბამათ თავმოყრილობა,
აჩუჱნეა ქუჱყნის იგავი და დროშის თავ დახრილობა,
და იესე მეფემ რა ნახა ჯავრით ხვდა წარბთ შეყრილობა.

სალამს ალამს ცეცხლის წალამს ფეშქაშდურს და ქუჱყნის იგავს,
თარგმნიდიან იტყოდიან ვაზირები თუ რას მიგავს,
მეფემ ბრძანა რაც ხილია ეგ სულყველა ჩუჱნ ბადშირგავს,
და უჩუჱლდა კარგად შემიტყვია ვერას ვხედავ მაგაშიგავს.

ზოგთ მტრობით ნარმა დაფარეს ჭოთი აჩინეს ნუქარად,
ათარგმნეს ნაფეშქაშევი თხოვნადვე არნაჩუქარად,
სიმდაბლითად დროშის თავ დახრა თავის დაქნევად მუქარად,

და შუა წალმად თქვეს ქართველნი გარს ცეცხლად გახნი მუშ-
ქარად.

მეფე ბრძანებდა მაგაში არა არის რა ფლიდობა,
ფემქაშურ ქართლის მოძღვნაა სალამ ალამი მშვიდობა,
გარს გალავანი ცეცხლისა გარშემო მტერთა დიდობა,
და წალამნი ჩუენ ვართ ორნივე გვხამს ერთმანეთის მინდობა.

ამად გვისახამს ერთ გორად ორისავ ქუეყნისა წალამსა,
მას ღვარი ველარ შესწვდების ვერ დაშლის ვერცა წალამსა,
მშვიდობას ითხოვს სიმდაბლით ამად თავს უხრის ალამსა.
და ისევ ქართლს ჩუენვე გვაჩენებს გახეთით გვაძლევს სა-
ლამსა.

თუ ორად დადგას იქნების ორი პატარა გორები,
დაჰქროლებს ქარი გარდაქცევს ზღუას შერთავს ნიავ ღვარები,
ტიალთ ვენახთა მოსჭამენ დათვნი ძაღლნი და ღორები,
და წარწყმენდილი იყოს ვინცა რა თქუას, ძმასთან ძმის დასამო-
რები.

მან ეს ბრძანა სჯობს ვარჩიოთ ჩუენ უბრალოდ არა ვბოდოთ.
მართალი ვსცნათ რაც გვიჯობდეს გულის ზღაპრით ღმერთს
არ ვსცოდოთ,
მოუნახოთ წყლულთ წამალი ზედ სალბუნი მას შემოვდოთ,
და რადგან იმას მოსვლა უთქომს ჩუენცა გვმართებს რომ
უწოდოთ.

აქ მობძანდეს ჩუენ გავსინჯოთ ის მოიქცეს რასაც სახით,
თუმცა გვმოყრობს მდაბლად ბრძანებს თუმცა გვმტერობს
უადავახით.

ხილთა ტკბილთა და მწარეთა შეეტყობის გემოს ნახვით,
და თუ ვერა ვსჭამ ხილს სიმკვახით დავარბილებ დავბეჟ ქვა-
სით,

იგ რაც რჩევა მეფემ ბრძანა დაემოწნენ მას ვეზირნი,
ერთმანეთის შესაყრელად დაამტკიცეს შეკრეს პირნი,
მაგრამ მაზედ წინაღმდგომნი ვით ერქვანთა ხისა ძირნი,
და მათ კეთილთა მოგზაურთა გამოუჩნდათ გზაზედ მზირნი.

ჩხუბის ჩამოგდება ქართველის ბატონისა კახის ბატონთანა.

ვახტანგს კონსტანტინეს წაგნი მოეწონა რა გასინჯა,
ბრძანა კარგათ გაუსაზღრამს თუ კი აღარ გარდაბიჯა,
მან მას კაცი გაუგზავნა მობძანდიო დაჰპატიჯა,
და ეს იესეს გულსა ვითა ლახვარი ხვდა დაეღრიჯა.

იესემ თქჳა გულსა შინა ჩემი ძმაა ჩემი მტერი.
პატიმრობით დამაბერა გამითეთრა თმა და წვერი,
აგრე როგორ დავბრმავდები შევიქნები გიჟი მტერი,
და მე იგ ორნი შევათვისო მე კი დავრჩე ვით ოხერი.
ჩემზედ იგი რად ვაცინო ჩემი დღენი მისგან ვტირი.
სამს წელიწადს ბნელში დამსვა არ მაჩუენა მზისა პირი,
ერთი იყო ისრე მიყო მან იხსენა ჩემზედ ძვირი,
და ახლა ორად გამიკეთდეს რაღათ მინდა მე სხჳა ჭირი.

იხმობერი დოდოველი ვით მოწაფე მოძღჳარ ინდობს,
უბრძანა თუ ჩემო ბერო ეს ჩემი ძმა ეშმაკ ფლიდობს,
არას კაცსა არ კადრობს ამპარტავნობს და გულ დიდობს,
და მე ძმა ვიყავ არ დამინდო კახ ბატონსა ვით დაინდობს.

კახეთშიაც დიდათ წყინობს იმის გაბატონებასა,

ეს თუ მოვა ფიცხლავ მოჰკლავს მოხვეჭს იმის ქონებასა,
რადგან მადლის მოღვაწე ხარ სთმობ ამ სოფლის ცხოვრებასა,
და შენ ის სიკვდილს მოარჩინე ღმერთი მოგცემს ცხონებასა,

რადას ვაგრძელებ გაგზავნა მან ეპიფანე ბერია,
მისწერა კახსა ბატონსა ჭკჳა თუ არ გადაგერია,
რომ მოხვალ როდის დაგინდობს მოგკლავს ეს შენი მტერია,
და შენს სისხლსა ვიღა მოჰკითხავს კაცი ხარ ერთი ღერია.

თუ მაგას იტყვი შენ რომ ჰყავს ძმა შენი ნახევარია,
ეგ სიძე არის ამისი ქალი ჰყავს მართ მოყვარეა,
შენ სავარცხელი შემწეთ გიჩანს და მაგას ქრისტეს ჯჳარია.
და ამისთჳს ეგეც ამისი საწადლის მომდევარია.

თუ ეგ ყეენმა შეგიტყო წაგართმევს ბატონობასა,
შენ ძმას ხომ არას მიგიცემს მტერობს ქრისტიანობასა,
თავათ თჳთ ბრძანებით დამდნარვართ უფრო დავიწყებთ დნობასა,
და აწ რომ ყეენი დაჰკარგო ვინ გიზამს მისოდნობასა.

მე დამიჯერე ნუ მოხვალ თორემ გაებმი ბადესო,
ნუ მიეცემი ნებითა შენის წახდენის მწადესო,
მე შემიტყვია მართალი რაც ამათ მოგიმზადესო,
და მკჳახე ხილსავით ქვასითა დაბეჟა დაგიქადესო.

მომავალსა წინა დაუხჳდა კოსტანტილეს იგი ბერი,
გარდახდა და თაყჳანი ჰსცა ხელში მისცა მისაწერი,
მან გაშალა წაიკითხა დაიქნია თავ-კისერი,
და ფიცხლავ უკან გამობრუნდა გაამჟღავნა არაფერი.
მის ლაშქართა რა იხილეს უგანვე გამობრუნება,
შევირდათ ნეტარ ბატონმა რაზედ იცვალა გუნება,

რად მოინდომა უწინვე არიყო თუ მისი ნება.
და ჯერა თქუა მერმე უკუ სთქუა რაზედ იკადრა მტყუნება.
ზრახვიდენ კახსა ბატონსა საქმე ვერ მოჰქავს გზიანად,
ვეჭობდა ქართველ ბატონსა შეჰყროდა თავაზიანად,
ძმა ძმისა საზიანოსა თუ არ მიიჩნევს ზიანად.
და ორივ მტერთაგან დაიწვის სახლ საბზელ კალო ბზ...
მიმავალი მიუთხრობდა ამხანაგი ამხანაგსა,
დღეის იქით ამ საქმითა ნიშანს ვხედავ ვერას კარგსა.
ორსა ემებს მაგრამ ერთსაც ვხედავ მისთჳს დანავარგსა,
და მას დროს ნასვს ქართველები ხელს ატანდნენ უკან ბა...
დაუცარცვეს კას ბატონისა ჯორი აქლემნი კიდებულნი,
დასჭრეს ზანდუკ მაფრაშები ამოიღეს შიგ დებულნი,
მიეშველნენ ველარ მისწვდენ უკან გამოკიდებული,
და ჟამი შეხვდათ უჟამური საღამო დაბინდებული.
ვას ბატონს კახთა აყვედრეს უღლით ტოლი გამოგემო,
ვისიც გქონდა შენ იმედი მისგან დარჩი უნუგეშო,
ტახტის ნაცულად დორ სუზანიც ქართველთ აგაცალეს ქვეშა,
და თუ ამ საქმეს ვერ გაზრდიდი გიჯობდა რომ არც კი გეშო.
მან უბრძანა რას ნიშნს მიგებთ დიდის ვალის გარდამხდელს,
ვინავარდე საქმე ვსჩხრიკე ვსცან და მოველ სახადელსა,
ახლა უჩუ̂ლოს აღვასრულებ მაგა თქუ̂ენსა სწადელსა,
და ვიქ თქუ̂ენსადა მოგაგონებთ რჩევას ჩემსა აწინდელსა.
არ მინდოდა განმარისხეთ შემამყარეთ გულსა ჯავრნი,
მე მზათა ვარ თქუ̂ენ მომზადდით შეიყარეთ ახლავ ჯარნი,
მოირტყუენით საომარნი საჭურველნი ტანთ აბჯარნი,
და წავიდეთ და დავამტვრიოთ კარნი მაგრა დანაჯარნი.

მე მინდოდა ყოფილ იყო ჩუენში სიყუარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი წესი სამართალი ბატონ ყმური,
არ ინებეთ არ მოშალეთ ერთმანეთში თქუენი შური,
და ცოდო ბრალი თქუენ კისერთა თუ რამ მოხდეს უწესური.

ყმის ბატონისაგან ბერების გაგზავნა მოციქულად და ქართ-
ლის თხოვნა ქართველ ბატონთან,

პირუელად ჯერ ეს მისწერა, მე თქუენი ნახვა მსუროდა,
კიდეც წამოველ მოგმართე სასწრაფოდ მამეშოროდა,
მაგრამ მომესმა სასმელთა მასმევდი რაც არ მწყუროდა,
და ვეღარ გიახელ ამაზედ ნუ თუ შენ დამემდუროდა,

ღმერთმან იცის ვაპირობდი საქმეს კარგად მონავარსა,
არ მამენდევ საკე უცან მახეს შენგნით მონაგვარსა,
განგერიდე რად მამხვიე, გასაცრცველად მონაგარსა,
და არას გთხოვდი თუ დამხსნოდი, სიყრმით ჩემით მონაგარსა.

ებე ჩემი საქონელი გამოგზავნე არ დამხუთო,
მორიელის ნაკბენარსა, საჯობს მოასწრო ფაზარ ხუთო.
შენ ოთხ რიგად გული დამწვი, არამც მეკი განვახუთო,
და მერმე დამგმობ დასაწვავად, წამისოო გაზრახუთო.

მათ მიუწერეს პასუხი, ადვილად მოსაშორები,
ვინ დაგიცარცვათ არვიცით, ლარ კიდებულნი ჯორები,
ეგ ჩუენ კაცსა არვის უქნია, გსმენიათ მრუდი ჭორები,
და რაც თქუენში მგლებმან დაჭამოს, ჩუენ ვითარ გიზღოთ
ღორები

ეს ბატონს ესმა რა მათგან, გულს ლახვრად დასაძგერები,
კვლავ მოციქულად გაგზავნა, ჩინით რჩეული ბერები,

მისწერა წიგნი მართალი, და ფიცი დასაჯერები,
და ჩუენ ერთმანეთსა ნუ გახდენთ. თორემ წაგვახდენს მტერები.

ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ, გაფთხილდი ნუ მოსტყუვდები,
გასწყერ დასჭერ და დასხიე, მტყუანთ ტყუილის გუდები,
თუ არ ღუთით ვერას დააკლებს მკალიას ტარბის გუნდები,
და თუმცა ლომი ხარ ვეშაპთა, ვერასძლევ გრძელ აქუსთ გუდები.

გირჩევ ნუ აქცევ ზღუდებსა, შენ ზურგის მისაყუდებსა,
რიდე ნუ შლი ნუ ფუტკნი, სახით არწივთა ბუდებსა,
მიყავ ვით ტრედი უმანკო, უფრთხილდი შენსა ხუნდებსა,
და თორემ კლანჭს გიკვრენ არწივნი, ჭირნახულს გაგიცუდებსა.

ნუ ჰგონებ კაცი თჳთ იყოს მდიდარი განაკეთია,
ანუ ღარიბი წამხდარი ვით ჩოხა ტანთ სცვეთია,
ერთი ათასად გამხდელი ბევრის მიმცემი ღმერთია,
და ვისაც წაართმევს ექნების ათასით აღარც ერთია,

კაცს მართებს ქედლის დახედვა, რაგინდ მაღლამდის აროს,
სიამპარტავნით ხარისხსა, ძირი არ განუზმაროს,
ბატონის უპატიური ყმას, არ შერჩების აროს,
და არც ღმერთი ბატონს შეარჩენს, ყმაზედ საუღიაროს,

ბატონს აწყინე გაგიწყრა, აზრალე შენსა წყენასა,
აწ ღმერთიც გიწყენს იცოდე არ იქ თუ მოთმენასა,
და მორჩილება უფალთა, უთქვამს დავითის ენასა,
და თუ შენს უფალსა არ უსმენ, ნურც შენს მონას ეჭუ სმენასა,

ყაენს ემტყუნე გაგიწყრა, აქ ზიხარ შემომწყრალია,
ქართლი წაგართო მე მომცა, ჩემი ხომ არა ბრალია,

თუ არ უსმინე ვრქნები, შენებრ ურჩებით მთვრალის,
და სულ მომყრალდების ქუეყანსა, თავად მტერთაგან მყრალის,
მე თქუენ ქართლსა არა გთხოვდით, თუ ეს არ მქონდეს რიდადო,
თუ არ უსმინე ყაენსა, მე გამიწყრების დიდადო,
შენ ხომ ეგ არის გიწყრება, არც ჩემ ზედ იყოს მშვიდადო,
და რაერთსაც ჩუენ მას მიუწყავთ, ის ჩუენ მოგვიწყამს შვიდადო.

ჴელწიფე ღალატს მოსმენის, ღმერთი არ დასთმობს გმობასა,
თუ გინდა წიგნში გაჩვენებ, რაც მითქუამს მის მოწმობასა,
იუდა ქრისტეს მონებდა, სჩემობდა კაის ყმობასა,
და სიხარბით ცეცხლში ჩავარდა, მიხვდა სატანის ძმობასა.

იუდამ ქრისტე გაყიდა, ვერცხლი აიღო ფასადო,
კვლავ შეინანა დაჰფანტა, დანაშაული თავსადო,
აწ სისხლი მიგეც მართალი, ახლა წავიდე ვასადო,
და წავიდა თავი დაიხრჩო, ეს მოუვიდა ნასადო,

იტყვიან სარწმუნოებით, პეტრეს იუდა სჯობდაო,
თუ თავი მას არ დაერჩო, სხუას ღმერთი შეუნდობდაო,
ამად რომ სისხლი მართალი, მივეცო მაღლა ხმობდაო,
და პეტრეს ჰკითხევდენ ქრისტესა, ვერ ვიცნობთ ფიცით გმობდაო,

აწ თქუენის სჯულის ამბავი, თქუენ უმჯობესად იცითა,
მსმენია ქრისტე შესულა, იერუსალიმს კვიცითა,
მუნ პეტრეს უარს უყვია, ვერ ვიცნობ უთქუამს ფიცითა,
და მერმედა-შეუნანებია აწ მკვიდრობს, კლდე სიმტკიცითა,

ვინც შეინანებს შეუნდობს, უფალი თავის ცოდვასა,
წადი და მასვე ევედრე, დაეხსენ ცუდსა ბორგვასა,
ნებით ჭსჯობს გაცლა მძლავრთაგან, ქჳა კრებით გამოლოდვასა,
და ვერ გეთნევთ თუ ცახცს არ დასცლით. მივხვდებით ჭრას და კოდვასა.

მე მოგახსენებ მართალსა, ტყუილად არა ვსჩმახსო,
გული მტკივა და შეგკადრებთ, ამაზედ ნუ დამზრახსო,
გაქჳს ნართი ავათ დართული, მრუდის ტარებით სძახსო,
და თუ ისევ შენ არ დასცარავ, წაგიხდენს ვერა ნახო.

იტყვიან ერთსა ანდაზას, ნემს მახათს ნუ სცემ მჯიღებსა,
შეგერჭმის ხელთა დანახევ, წაგიხდენს მკლავთა მჯიღებსა,
ნუ ემუღლები ყაენსა, თორემ მოგიმლის ჯიღებსა,
და რუსეთისაკენ გაგზავნის, იმოკლებ გრძელსა ბიღებსა,

მირჩევია ჭეშმარიტი, შენი საქმე დანაშურე,
თავსა ცოდვით შებღალულსა. წმინდა წყალი შენ ასხურე,
ვის უარ ჭუავ სამსახური, წადი მასვე ემსახურე,
და ვინც მოგხადა თარჯ თომარი, იმისგანვე დაიხურე.

ნუ მრუდ მრიცხველობ ჭსწორეთ გქონდეს შენ ეგ შენი ანგარიში,
თავს თავიდგან გაუფრთხილდი, არსად უკუაგდო ჭირში,
თორემ ბოლოს არას გარგებს, სიმწუხარის კვნესა ვიში,
ავს გამსინჯავს დაემართჯს, სამუდამოდ შამათ ქიში,

კახის ბატონის მოციქულების დაჭერა ქართველ ბატონისაგან.

მიუხაროდათ დიაკვნებს, საქართლოდ გაჩაფრულებსა,
გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალს ფრულებსა,
საქონლით სავსეს მოვასხამთ, ჯორ აქლემ დაყათრულებსა,
და ეს არ ეგონათ საკანში, ჩაჭყრიდენ ჴელ შეკრულებსა.

ერთმან იხუმრა ვიბანებ, თბილის აბანოს ნურითა,
მეორემ თევზით გავსძღები, ზურგიელ გელაქნურითა,
მესამემ მივიბრუჟები, ღვინითა ატენურითა,
და მეოთხემან ჭსთქჳა, დაგვთოკვენ საბლითა მაზმანურითა,

ვით მდინარე ღვარ შერთული, ზვირთს ისროდეს სჩქერდეს
დიდათ.
მას ქვევითმა ვერ შებედოს, გადოს რამე მაზედ ხიდად,
გატყდეს ხიდი ზედ მავალნი, გახდნენ ხავსთა მოსაჭიდად,
და ეგრეთ ბერებს მოუვიდათ, რაც მოგითხარ მაგალითად.

მეფე დახვდათ ჯავრიანათ, შესაზარი შესახედლად,
მისგან ბერებს გაუძნელდათ, პირად სიტყჳა შესაბედლად,
გამოიღეს წიგნი წინა, მიიმძღვარეს საფარველად,
და მიართვეს და ზოზღნად რასმე, სიტყჳას მოჭყვნენ ერთობ
დედლად.

მეფე წიგნის კითხჳას მოჭყვა. ბერებს აღარ უგდო ყური,
წაიკითხა რაცღა ნახა, სიტყჳა ყაფლურ ამაყური,
პირსა ოფლი მოედინა, თავს დაადგა სიცხის ბური,
და თივა ცეცხლს ხვდა ქარმან ქროლა, ალმან შექმნა ვით
გურგური.

გასდა ვითა ნაკვერცხალი, მეტის წყენით ექცა ფერი,
ბერებს უთხრა რად მოგქონდათ, თქჳენ ასეთი დანაწერი,
რასთვის იმას არ ურჩივეთ, ზედ თუ გესხათ ულვაშ წვერი,
და თუ არა და წყალს არ სცვივდით, თუმცა გაღონებდათ მწერი,

რად არა ხართ მონასტერში, არ ილოცამთ ღმერთს არესავთ,
გამოსულ ხართ და დასდიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ,
ჩჳენთა ხმალთა გამახულთა, მაგით უფრო თქჳენ ადლესავთ,
და ღმერთი როგორ დაიდუმებს, არა გკითხამსთ მაგდენს თქჳენს ავთ,

გაწყრა ბრძანა ხედავთ ბუში, სიტყჳას მკადრებს როგორ მქისებს,
არ ვიცი თუ რით მაშინებს, რა საზინა უძევს ქისებს,
მე ვით ორბსა მდევს კირკიტა. და მტრიალებს დამკისკისებს,
და ჩემგან იგი რას წაიღებს, მე მოვიტან თუ არ მისებს.

უბრძანა თავის მოყმეთა, მე ცეცხლსა ეს მიკიდებსა,
თვით გიჟი ჭკჳას მასწავლის, უსჯულო მე სჯულს მიდებსა,
უყურეთ ცალ გვერდ ჭიანსა, რა სიტყჳებს ისვრის დიდებსა,
და აწ ჴელი ჰკიდეთ ციქვანებს მაგა მტყურა, ფლიდებსა.

დაიჭირეთ და წაასხით, ჩაყარეთ ღრმასა ხაროსა,
თავს დააყენეთ დარაჯა, არავინ გამოსთხაროსა,
მომზადდენ ჩემნი სპასპეტნი, ლაშქარი შეიყაროსა,
და წავიდუს მოსპოს კახეთი, მტრის ჯავრი ამამყაროსა,

აწ გაუშჳლავნდათ რჩევანი, რაც ქართჳელთ ივეზირესო,
მოხსენდა კასსა ბატონსა, ბერები დაიჭირესო,

მათ თქჳნი მიწერილობა, დიად შორს დასჭირესო.
ჲ ემზადებიან სალაშქროდ, ნაღარა დააყვირესო.

კახ ბატონსა წინა დღითვე. მზასა ჰყჳანდა თავის ჯარი,
იგ რაესმა წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი.
ნარიყალა მიმბაშს ეპყრა, შაის ტასტი ცისის ვარი,
ჲ რა მივიდა ფიცხლავ მისცა, გაიკეთა მუნ საფარი.

დაამარცხეს მან მიმართა ფიცხლადა ვლო მუხრან ჭარსა,
უთხრა ქართველთ გამაწბილეს, არც მე შევსჭამ იმათ ჯავრსა,
შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჯარსა,
ჲ წაუძღჳა ჲ ხელ მქორეთ, მიაყენა ჯარი კარსა,

ქართლს კასუთსა გარდეხადა, მაშინ ღჳთისა საფარველნი,
ოდეს გარსა შემოადგნენ, თიფლის კახნი ჲ ჭარელნი,
გაუთენდათ სომხებს, დღე შაბათი, საზარელი,
ჲ ზოგნი მოჰკლეს ზოგნი დასჭრეს, ზოგთ წაგვარეს საყუ-
ვარელნი.

სალხინოს დღეს მოქალაქე, დიახ ავათ შეაქციეს,
წამოუხსნეს საქონელნი, სახლ დუქნები დაუქციეს,
დაამარცხეს ქართველთ ჯარი, ვასტანგ მეფე გააქციეს.
ჲ თეთრსა მტკჳარსა წითლათ ღებდა, რაც მათ სისხლი დააქ-
ციეს.

---

## ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა, და ქართველ ბატონის რუსეთს წაბრძანება.

კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთა, ერთო, ქართველთა ქარიალზედა,
რა იგი ორნი შესცილდნენ, ვით ქორნი გარიელზედა,
გამოეღვიძა არწივსა. ჩხუბსა და მათ ყრიალზედა,
და გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიელზედა,

ჰსჯობდა იდუმალ ენუკათ, ქორთ თჳსი სანუკარია,
წილად ერთს მსარეს ეწიწკნა, მეორეს საწინწკარია,
სრულ არ მიეცათ მტერთა თჳს, თავიანთ საკენკარია,
და თუ ამას ავად ვამბობდე, პანღური ამომკარია.

ვახტანგს ძიმწარის უმწარე, ეტკბილა ვითა შაქარი,
ძილ გაკრთობილმან საზღაპროდ, მძინარე შეძრა ხონთქარი,
აღსაშენებლად სარვანთა, გაგზავნა ორი სარქარი,
და წინ მიუმძღვარა ხუროთა, იესე ძმა მე ბაქარი,

მოტყუვდენ კუროთ მოძღუარნი, იხმარნეს ავნი კურონი,
ძველთაგან მკვიდრად ნაშენი, საქართლო საკახურონი,
მოშალეს ველარ იშოვნეს, სრავანი საკვეხურონი,
და უმა და მამულნი მტერს, მისცეს თჳთ დარჩნენ უმსახურონი.

მეტად უზომად გაჯავრდნენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია,
აჩქარდენ ველარ გაშინჯეს, სათ საქმე საშინჯარია,
მტერთ ნებით კარი განუღეს, მაგროვნად დანაჯარია,
და კახთ იხმეს ლეკი საშველად, ქართუჳლთ ოსმალოს ჯარი

ოდეს სცნა კახმან ბატონმან, ლაშქარი სარას კარისა.
საქართუჱლოს მიადგა, ვით გოლსაბზბო ფუტკარისა,
წინ აღმდგომად არ ეძლო, ქმნა მათის სანუკარისა,
და წინ მიეგება მიართო, კლიტენი ციხის კარისა,

ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდა ღიარა,
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღუარს მანაღიარა,
და ვახტანგ მეფემან რუსეთად, რაჭაზედ გადაიარა,
და სხუას ამის ამბავს კჳლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგიარა.

კახმა ბატონმა მიმართა, ფშავ ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ შვილით თვალეესა, ძლივს ფეხი მოიკიდესა,
რაც ხანი იყვნენ სარჩოსა, ვერც სთესდენ ვერცა მკიდესა,
და რაც აქვნდათ თავის საუნჯე, სულ პურ ღვინოზე ჰყიდესა.

შეწუხდნენ კახნი ქართველნი, მიადგათ რა ეს ჭირები,
შეითქვნენ შეჰქნეს ფიცებით, ერთმანერთს მისცეს პირები,
არჩიეს გორის ციხესა, გამოუთხაროთ ძირები,
და კახმა ბატონმა მომართა, დაბდაბნი დასაყვირები.

იესე მეფეს მოხსენდა გორსა დგას, ქართვლის ჯარები,
მან შეიყარა ოსმალო, იქნა თიფლისით მარები.
მოხვდნენ ერთმანეთს დაიქცა, რაც მაშინ სისხლის ღვარები.
და აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა ზდებოდა ღარები,

ვაიმე ამის სათქმელად, პირი გამიხდა მწკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი, ზედასვლაზე დატევით,
მით ჩუენმა ჯარმა აჯობა, პირველ მისვლაზე შეტევით,
და მაგრამ ბოლოს კი დამარცხდნენ, შიგნითვე ნაღალატევით.

ვაი ამ დღეს ოსმალონი, რა უბრალოს სისხლსა ღვრიდენ,
საცა მეხვდისთ მუშა კაცნი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ,
გოლდოლს თავი აკლიაო, ცხრას ურმისას ზარში ჴყრიდენ,
და ტანი მარხველი არ ჴყვანდა, მელა ტურა გამოხვრიდენ.

---

მეფის ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა [illegible]ოუბანდს
წაბრძანება.

ექვსის წლის წინათ ჩემს უწინ ქართლიდამ წაბრძანებულნი,
რა მიველ მოსკოს ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი.
რომელსაც ხელმწიფისაგან მუნ იყვნენ დაბარებულნი,
და ამის თჳს ველარ მიესწროთ მით იყვნენ გამწარებულნი.

ერთს დიდს პეტრეს და ორთ სხუასა მოშლოდათ წუთი სო-
ფელი,
წართმოდათ წუთ საყოფელი ეშოვნათ გრძელი სოფელი,
მით სევდა ვახტანგ მეფესა გონების დასაყოფელი,
და სწუმოდა გულსა განეჭრა გრძლად ფილთის შესაყოფელი:

ამის თჳს იყო მგლოვარე ცრემლი ამაზედ სდიოდა,
სამი ჴელმწიფე ზედიზედ მოკვდნენო გული სტკიოდა,

თავისა თავის ქუეყნისა უბედურობას ჩიოდა,
და გამძნელდა საქმე გაგრძელდა რაღა ვსთქუა რა გარჩიოდა,

ოდესაც ანნა ჴელმწიფე რუსეთზედ გარდამწდომარე,
ბრძენ უხვი მართალ მოწყალე სამართლ დაუმცდომარე,
გვირგვინოსანი ტახტ ზედა მეფემ იხილა მჯდომარე,
და მაშინ შეიქნა საქმისა მოხსენებისა მდომარე.

მეფე წადგა ჴელმწიფესთან ცრემლით ლაწვი დასველა,
მოახსენა თქუენგნით ვარო არც მშიერი არც მიშველა,
ამასა გთხოვ შემიწყნარო ბრძანო ჩუენი ქუეყნის შველა,
და შეისმინა ჴელმწიფემა რაც მან სთხოვა მისცა ყველა.

მან უბრძანა მე მიჭირავს ზღვისა მუდამ გაღმა მხარი,
სოლოღასა და დარუბანდსა ბაქოსა ჰსდგას ჩემი ჯარი.
მუნ მიბრძანდი საჭურჭლისა მუდამ მზა არს ღია კარი,
და ლაშქარი და ხაზინანი ვით გენებოს მოიხმარი.

მივსცემ ყველას ბრძანებასა ჩემთა სპასპეტთა მმართველთა,
ამირთა და ამილბართა ათასის თავ ასის თავთა,
თქუენს ბრძანებას მორჩილობდენ კარგს იქმოდეთ გინა ავთა,
და თავს საკვდავათ არ ზოგვიდენ საცა მოიქნევდენ ხმალთა.

მეფემ მდაბლად ჴელმწიფესა თაყვანი ჰსცა ჰკადრა პირად,
ღუთაებრ უხვი მოწყალება ჰქენით ჩემზედ არა ძვირად.
ვმადლობ თქუენსა წყალობასა მე და მინდა სხუა განძარად,
და დღეის იქით ენამ ჩემმა ქება თქუენი წარსთქუას ხშირად.

წინ წადგა და ტახტზედ მჯდომსა ჴელმწიფესა ხელს აკოცა,
ჴელმწიფეცა წამოუდგა გზა მეფესა დაულოცა,

ღმერთმან ასრე გაგიმარჯოს რომ არ იყოს ბევრი სოცა,
და სადღეგრძელო დაულია თჳთ ბრძანა და მასაც მოსცა,
წამოვიდა პეტრე ბუხით მეფე მოსკოს ჩამობძანდა,
მოემზადნენ მამა შვილნი ქართველნი ჭკუა ვინცა ვინდა,
წასვლა წყლითა დაამტკიცეს ბრძანეს ექვსნი ნავნი გვინდა,
და შექნეს ნავის შენებანი მით ერთი თვე გამოვიდა,

ნავში ჩავსხედით წავედით თოკებისა ხელის წევით,
ხან ჩქარათა ხან წყნარადა ხან ვერც დავსძრით ხან კი რყევით,
წინ ეტ იკი მიგვიძღოდა ედილისა წყალს დავჭყევით,
და ჩვენნი ავათ სიარული ხამს თვეს უკან შევიტყევით.

ვირემდის ზღვათა ბაგემდის ჩვენ ჩავიდოდით ნავითა,
გარდ ატრიალდა საწუთრო მრუდისა საბრუნავითა,
წინ სვიმონ აბრამის შვილი დაგვხდა ამბითა ავითა,
და აღივსო გული მეფის მრავლითა საწმუნავითა.

მოასხენა შამახია თამაზ ხანმა დაიჭირა,
მეფეს ესმა თავში ხელი შემოიკრა და იტირა.
ესრეთ მოსთქვა ჩემი ბედი ასრე როგორ გაიწირა,
და გზა არსითა წარმემართა წინ ერთი რამ ამეხირა.

ახლა რავქნა სად წავიდე გზა შემქნია დახლართული,
ქარი ქრის და ავრა გაშლით ვარ ხომალდში ზღვას შერთული,
ბრძანებანი შინ წასვლა ჴელმწიფისა ხელ ჩართული,
და ღმერთმან თვისნი მტერს წარუმართოს ვით მე გზა მაქვს წამართული.

დღეს რაც სიტყვა საზარელი მოისმინა ჩემმა ყურმა,
ეგ სულ წყალში ჯდომამ მიყო სიარულმა ბაყაყურმა;

პირში ლუკმა გამამაძრო თარაქმამ ნადირყულმა,
ჲ რაღა ვქნა ჲ რა ვივარგო სევდით გულ ღვიძლ დანაყულმა.

თუ დავბრუნდე უბრძანებლად მკითხონ რა მაქჳს მე სათქმელი,
თუ წავიდე ჲ რუბანდსა მე ვიქმნები რიღას მქნელი,
ღმერთო ჩემო ეს რა მიყავ მომივლინე საქმე ძნელი,
ჲ სულ სიცოფეთ შემირაცხი რაც ვისიბრძნე მე სიბრძნული,

კვლავ ბრძანა გავალ დარუბანდს იქვე საჯობს სხჳაგან დგომასა.

იქ მოუყუროთუ საქმეს რა მოხდეს შემოდგომასა,
რაც უწინ საქმე წამხდარა წუხილით რა ვარგო მასა,
ჲ საჯობს მომავალსაც უფრთხილდე საქმისა არ წახდომასა.

გაბრძანდა მეფე ხომალდით ჲ რუბანდისა კიდესა·
მღჳდელნი სამღჳდელოთ მოსილნი მოვიდეს ხელი ჰკიდეს,
ციხიდამ თეთრი ალამი გაშალეს გარდმოჰკიდეს,
ჲ რუსთა ზარბაზნის შილინგთა გარს ცეცხლი მოუკიდეს.

ციხითგან თოფთა ისროდეს ხუცები რეკდენ ზარებსა,
ასე გვეგონა ხმისაგან ცა იმერის მთა ზანზარებსა,
არ ვგვანდით აბუჩს სტუმართა არცა უბრალოს მგზავრებსა,
ჲ ცოტა მით გვეცა ნუგეში მუნ მისვლად დანაზარებსა.

## თამაზ ხანისაგან შამახიის და განჯის აღება და ოსმალოსაგან თიფლისის დაცლა.

აწ მოგითხრა ნადირყული ან ვინ იყო რისა მქნელი,
იყო ერთი თარაქამა ელთა თავი ხვარასნელი,
იმის გამო შაჰს თამაზმა მიიყენა საქმე ძნელი.
და თავის ნებით მისის ხელით გარდაიცვა ყელზედ წნელი.
ასე რომე შაჰ თამაზმა საქმე ასრე მოიგვარა,
ლოთობა და მეძაობა მეტათ დიდად შეიყვარა,
მისად წილად ნადირყული ვით ბრმას წინა აღიმძღვარა,
და ბეჭითი და სახემწიფო ჯარი სულ მას მიაბარა.

თჳთ იმ საქმით ნებიარად ჯდა განცხრომით ამოშვებით,
მისგან ხნარცვში უკუვარდა აღარ იქნა ამოშვებით,
მოიფონა ხრმალთ კაპარჭი მშვიდად სახელი ქნა მოშვებით.
და მაშინდელნო სისხლის ტბანო აწ როდისღა აღმოშრებით.

ეს გაუშვათ იგივე ვსთქჳათ რაც გაეწყოს ბოლოდ თავსა,
კარგი წვითდან დავინელოთ ცეცხლი მიე ბოლოთ ავსა,
ღმერთი კარგსა რათ უზამდა მას ბილწ მეძავს და მლოთავსა,
და ავის მქნელსა ავის საქმით ღმერთი საქმეს მოურთავსა,

რა ნადირყულ შაჰ თამაზსა საქმის თავი ვერ უნახა,
დაიჭირა დაპატიმრა დარაჯს ქვეშ შეინახა,
გათამამდა ნადირყული თოფი მ.რთა ხმალი ჩალხა,
და მოუქნივა წინაღმდგომთა გაადინა თავში ჩასა,

ნადირყულობა განაგდო მან დაირქო თამას ხანი,
დაიმონა ყიზილბაშნი ვითა მგელმან ცხჳარნი თხანი,
განიმრავლნა ბეგლარ ბეგნი ყულ ნოქარნი უზბაშ ხანი,
და გაიგეთ მეტათ კარგი მან თოფხანა ჯაბახანი.

რა თამასხან შაჰს თამაზსა ამისთანა საქმე უყო,
იმისთანას დალატითა ყელზედ გარდიცვა გულ უყო.
ორმო ბნელში ჩაგდებულსა თავი აღარ ამოუყო,
და ყოვლს გულმწიფეს აცოდინა თავის თავი საცნაურ ჰყო

რუსეთს გაგზავნა დესპანა სიტყჳს მისწერა ასეთი,
ჩჳენ თქჳენის ტახტზედ დაჯდომით თავის წყალობით
გვცვავს ღმერთი.
მოკჳდა შახ თამაზ ყაენი მას შჳლი დარჩა არც ერთი,
და სასელად ვირქჳი თამაზ ხან მე დავიჭირე სპარსეთი.

მას თამაზ ხანის დესპანსა სახელად ერქუა სულუფა,
მისცეს მას დიდი პატივი პეტრებურხ კარგი ულუფა,
იმან ჰსცნა ვახტანგ მეფისა საქმე და განძრახულობა,
და ვინც უთხრა კარგი ვერა ჰქნა იდუმალთ დამარხულობა,

ხულუფას უთხრეს ვახტანგ თქჳა მე წავახდინო სუხავი,
ის არის ჩემის ქვეყნისა დამწველი ცეცხლით მხუხავი,
შამასიაში ყუმბარა ვჰყარო მეხისებრ მქუხავი.
და თუ ღმერთმან ეგე მადირსა სხჳა რამსაქჳს შეხაწუხავი,

მეფე რომ გაღმით წაბრძანდა ხულუფამ გზავნა ჩაფარი,
მისწერა წიგნი თამაზ ხანს გაიმაგრეო საფარი,
აწ ვახტანგ მეფემ საომრად აიღო ხმალი და ფარი,
და განზრახულობა არს მისი შამახიაზე ფარ ოარი.

თამაზ ხანს ესმა ეოცა იქმნა მკბენელი ნეკისა,
სუხავის ჯარი მან შექმნა ვით ისომ ამა ლეკისა,
ჯერ შამახია დალაშქრა ქვეყანა მოსპო ლეკისა.
და ჳჱლავ ხმა ასმინა განჯასა ოსმალოს კართა რეკისა.

ერთს დღეს თამაზ ხან თავის ჯარს მიუძღჳა ასრე სერხითა,
ათი ათასი ათასთა გაასრესინა ფერსითა,
განჯის კარები დამუსრა ზალაყინის ჯესითა,
და თიფლისი ნებით დაცალეს გაჳლეს ბეცებით ხესითა.

---

თამაზ ხანისაგან რუსთ ჴელმწიფეს ფელთმარშალთან წიგნის მიწერა და თავის ქვეყნების თხოვნა.

თამაზ ხან სოლადს მისწერა ვის აქვნდა ამილბარობა,
თუ მეგობარი ბრძანდებით ჩემზედ არ გმართებთ ძალობა,
გარდმახდევინეთ სხჳა რიგად თუ რამ მემართოს ვალობა,
და თუ არა ჩემის ქჳენისა ჴელმწიფემ მიყოს წყალობა.

სოლადს დარუბანდს არმოანს თქჳენ რა ხელი გაქჳსთ ბაქოსა.
და საბაქოველი მბაქველმან არც აგრე უნდა ბაქოსა,
რადა ხნავთ ანუ რად სთესავთ თქჳენ ჩჳენსა სათამბაქოსა,
და ანუ ბაჟს დავლას რად იღებთ სადუქნეს საქულ ბაქოსა,

73

## და ჴელოვნება.

თუ არ დაუთმობთ ერთმანეთს ეგ ჩამოაგდებს მტრობასა,
დასცალოთ თქუენთჳს მიბრძანდეთ ის სჯობს უე მანდ მაგ-
რობასა,
მერმე მე ვსინჯამ თქუენგნითა მაგ ჩემის ქუეყნის ჳურობასა,
და მაგთენი ბოლო არა აქუს ჩემსა და თქუენს მოყურობასა.

მას ამილბარმა მისწერა თქუენ ჩუენგნით ნუ გეწყინება,
ვინემდის კარზედ მივსწერდე თქუენ ჴქენით ეს მოთმინება,
რაცა იქიდამ მომესმის თქუენ ჩემგნით მოგესმინება,
და მე სიხარულით დაგიცლი თუმცა ჴელმწიფემ ინება.

მალე მოვიდა კარიდამ ჴელმწიფის გვამანსარია,
სოლოლის ციხე მოშალეთ დაჴსცალეთ გაღმა მხარია,
სადამდის თვითონ ამილბარ ციხეს არ დასცა ბარია,
და მანამდის დასაქცეველად ხელი ვერავინ გარია.

თამაზხან თამაზ ხანობა გარდირქო მან ინაჯიშა,
თამაზ სანისებრ სეფური შახ თამაზ ვერ ივარჯიშა,
ნადირუულობის ძალითა სახელად ირქუა ნადირშაჴ,
და ჯერ არსადა ჩანს სპარსეთში ნადირშასთანა ფადიშა.

მან ნადიშამან უყენმან შახ თამას კნარცვი უთხარა,
ჴლმით შეაშინა თურქეთი დაღისტანი და ბუხარა,
რუსთ ჴელმწიფესაც მისწერა გამეცა ბაქოს ნუხარა,
და ინდოეთისა ჴელმწიფე და დრკა მას თავი უხარა.

ვახტანგ მეფეს მოუვიდა იმ ნადირშახ ჩაფარ ელჩი,
იბრძანა თუ მობრძანდით შენს ქუეყანას არას გერჩი,
ე გიჩვენო შენის მტრისა თავი შუა განახეჩი,
დამიჯერე არ დაკარგო რაც მე ხელში ჩაგაჩეჩი.

არ წავიდა არ მიჰნდო იმის ყმობაც ითაკილა,
სიტყუა მისი მას გულს ეცა თვალთა ქაცუი ვით ახვილა,
ვითა სმოდა პირველთაგან მით იხსენა ითაკილა,
და თქუა მეც უნდა დამბორკილოს ვით მას თამაზ დაბორკილა,

---

რუსთაგან გაღმა მხრის დაცლა და მეფის ვახტანგის აშტარხანისაკენ გამობრძანება.

რუსთ დარუბანდი დაცალეს ყიზლარისაკე არესა.
მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტარახნის არე მარესა.
იქ უარესსა შეესწრა ამბავსა საწყინარესა.
და მაშინ თქვა წუთო სოფელო ფუ შენს და შენს მოყუარესა.

წყეულო ცრუო მაცდურო ასრე რათ დამემტერეო,
ცხრა რიგი ჭირი შემყარე ერთსა არ დამაჯერეო,
გულს მქონდა ხმალი დარჩილი აწ შუბიც დამაძგერეო,
და არც მომკალ არც დამარჩინე მატარე ზერე ქვერეო,

მეფემ უბრძანა თვის შვილსა შენ შვილო ჩემო ბაქარო,
ისმინე ჩემი ნათქუამი ტკბილო ვით თაფლო შაქარო,
ველარსად წავალ აქედამ ვიქნები რადგან აქ ვარო,
და ჩემს დაქცეულს-ოჯახზე უნდა რომ შენ ისარქარო.

არვიცი რაღაც მტლზედა შევიქენ დავიბადეო,
მე ბევრს ვეცადე არიქნა აწ ახლა შენ ეცადეო,
ველარ შევიძელ მოწევა დავბერდი მშვილდი დავსდეო,
და რაც უნდა წახდეს გაკეთდეს მე მას აღარას დავსდეო.

რომელიც კაცნი ქართველნი ქართლიდამ გარდმოგვყოლია,
ზოგს ქართლში ვე ჰყავთ ცოლ შვილი ზოგთ აქ შეურთავეთ ცოლია.
ქართლურად მიეც ნებადა რუსულათ დაივოლია,
და როგორც უჯობდესთ ისე ქნან მითამ არც ერთი მყოლია.

მთხოვენ და მივსცემ ვერა რას მე ვერ ვიტვირთავ ამასა,
მე წაუხდინე ქვეყანა შვილიც გაუეც მამასა,
მე ღმერთი მიწამს რას კაის ორმო უთხარა ჭამასა,
და სჯობს უჭმელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასა.

მე ყველას დავსცემ დასტურსა შევიქ თავიანთს ნებასა,
ამას კი ვეტყვი რჩევითა დაუგდებ ერთსა მცნებასა,
კაცი ხომ ვერსად წაუვა სიკუდილსა ღუთის ბრძანებასა,
და მაგრამ ნურავინ შეიყრის თავისის ნებით სნებასა.

შვილმან შეჰკადრა მამასა შენ რა გაქუს აწ საჭმუნავი,
რაზედ შექნილხარ არ ვიცი შენის ცხოვრების მწუნავი,
არ ახლა იცან საწუთო დასაბამიდგან მბრუნავი,
და მიბრძანე მისი შემხები ვინ დარჩა გაუთხუნავი.

კაცი თავს ვერას გაუა ცრუის საწუთროს მდურვასა,
უნდა რომ კაცმან გაუძლოს ჭირს შეჰყრის ცხრასა თუ რვასა,
სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა ჭმუნვა ურვასა,
და გირჩევ დაეხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

ერთს მოგახსენებ რჩევასა მაზედ ნუ გამიწყრებითა,
ისი სჯობს მოსკოვს წავიდეთ წყნარად ნებივრად რებითა,
იქავ ვიცხოვროთ ვით უწინ ვსცხოვრობდით ჩუენის კრებითა,
და ჯავრს დავიწყებთ როდესაც ჴელმწიფეს შევეყრებითა.

უბძანა აღარ ვიქნებით როგორც ვჰყოფილვართ ჩუენა,
მისთჳს ვიმალვი სირცხვილით არ მინდა გამოჩენა,
მრავლისა ცრემლის დენითა დავჰკარგე თვალთა ჩენა,
და ასეთი სენი შემყრია ძნელია გარდაჩენა,

წამიროქეს ქართველთა თავს წაიშინეს ხელია,
იტირეს ბევრი მეფის წინ დაღვარეს ცრემლი ცხელია,
შეჰკადრეს რას თჳს შექნილ ხარ ვით ველად მრბოლი ხელია,
და ბრძანებთ ვემალვი სოფელსა ეგე რა გასამხელია.

ჩუენ გაგვიშვია ქუეყანა თვრამეტ ცხრამეტი წელია,
სამსახურითა თქუენითა გვტკივა ზურგი და წელია,
ნამსახურობის ჩუენისა ეგე რა სასყიდელია,
და თქუენ მანდ დაბრძანდეთ და ჩუენზედ ასრე აიღო ხელია,

მეფემ უბრძანა ტირილით თქუენ მართალს ამბობთ ყველასა,
გიმსახურნიათ თქუენ ბევრი მშიერსა და შიშველასა,
მაგრამ რას მიზამთ ვეცადე მე ჩემის ქუეყნის შველასა,
და არ იქნა რით და გარდვიხდი მე თქუენსა სასყიდელსა.

ვითხოვ შემინდოთ ჩემზედა თქუენ ჰქენით რაც საქნელია,
ენით დაგლოცავ მის მეტი სხუა არ მაქუს საქონელია,
ღმერთმან მოგაგოსთ მუქაფა ჩემგნით გარდახდა ძნელია.
და სადაც კრულ იყვნენ მტერთაგან მუნ ღმერთიც თქუენი
მხსნელია.

ერთი ამბავი მომეხმა მე გასაგონლად მენახა,
დიდათ მერჩივნა სიკჳდილი მე ცოცხალს ამის სმენასა,
ამაზედ ვსტირი ცრემლითა ვავსებ ქვევრსა დ~ მენასა,
დ~ მე თქჳენი სხჳათა მიცემა ვერ გათქმევინე ენასა.

რაცა ვსთქჳა ჯავრით ეგე მკლავს მაჩივლებს ეგ მატირებსა,
წყეული წუთი სოფელი რაც არ მწადს მას მიპირებსა,
არ ვიცი როგორ გარდურჩე მჭვალს გულზედ დანაჭირებსა,
დ~ თუ არ მდომოდით გაგცემდით არ შევიყრიდით ჭირებსა.

რა ეს ისმინეს ქართველთა კვლავ უფრო შემოსძახესა,
თავს იქით აქეთ აწყვიტდენ ახლიდენ ქვასა დ~ ხესა,
ჰკვიროდენ ჩჳენი მჭვრეტელნი მგონია კიდეც გვზრახესა,
დ~ მით არ იცოდნენ თუ ჩჳენა გავებით რა გვარს მასხესა.

მეფემ გვიბრძანა ქართველნო კაი ნუღარა სტირითა,
თქჳენ გაიგონეთ ყურითა რაც მე მოგითხრა პირითა,
რაც საიდუმლო გესმოდესთ ხმა მაღლა მას ნუ ჰყვირითა,
დ~ ნურც თქჳენ სწუხთ ნურც მე მაწუხებთ გული სავსე მაქჳს ჭირითა,

გულს ნუ იჩვილებთ იყავით გულისა გამაგრებითა,
ჩემს შვილს ბაქართან მიბრძანდით ყჳელა ერთ პირათ კრებითა,
თქჳენ ის წაგიძღვეს საითაც უკან მიჰყევით რებითა,
დ~ მის უკითხავად წინაწინ თქჳენ ნურსად წაეჩრებითა,

ასრე მოგვითხრობს თარგმანსა იმ იგავის ხის მრგველია.
არს მორჩილობა საქები ურჩება საძაგელია,
მწყემსი უფრთხილი სამწყოსი ადვილად დამკარგველია.
სამწყოს უმწყემსოდ მავალთა შესჭამს ტურა დ~ მელია,

გამოესალმნენ მეფესა ქართველნი მუხლზედ ხვევნითა,
მდაბლად თაყვანის-ცემითა ხელზედ და ფერხზედ მთხვევნითა,
წინ დაუყენეს ტბორები ცხელის ცრემლისა ნთხევითა,
და იმათი თავის რასუნი ისმოდა ქუა და ხევითა.

წავიდნენ ბაქარს შესჩივლეს მეფემ რაღაც ქნა იწყვია,
ნამსახურობის სანაცვლოდ მოგვაგო ესე ნიჭია.
აწ თქუენა ხედავთ თვალითა რაც ჯილა თავთა გვირჩვია.
და სულ გამოგვყარნა ქართველნი დარჩა ათიოდ ბიჭია.

აწ მამა თქუენი თუმცა რომ ღრმად საქმის გამჩხრეკელია,
წერილთა ვითა როგორცა იონე დამასკელია,
მაგრამ ეს ავად იფიქრა აქ გაიკეთა ჰქელია,
და თჳთონ აქ დგების მარტოკა ჩუენი შორს გამრეკელია,

ბაქარ თქუა ეგ შემიტყვია მე თქუენგან უფრო ადრეო,
ნუ მამიკუდების შვილები ლევან და ალექსანდრეო,
ბევრი მიუთხარ მამაჩემს ეგ საქმე რად იკადრეო,
და არ დამიჯერა ავათ ქნა აქ დგომა ამან მეტადრეო.

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწდომარე,
რაზედაც მიდგა არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე,
მე შვილი ვარ და ეგ მამა არა ვარ წინ-აღმდგომარე,
და მე მოსკოს წავალ თქუენც მოხვალთ ეგ იყოს აქა მჯდო-
მარე.

გვიბრძანა მალე წავიდეთ არა სჯობს აქ გრძლათ დგომაო,
გზა წაგვისდების მოგვისწრობს ახლო არს შემოდგომაო,
ცარიცინამდის წყლით წასვლა მიგვაჩანს ნავში ჯდომაო,
და ცარიცინს იქით მოსკომდის ეტლებ უნებით ხლდომაო.

...სან კაცმან საგზაოდ შევქმენით მომზადებანი,
...კის საჯდომს ნავს შიგან ნუზლთა და ბარგთა დებანი,
...ცხდით მეფისა გაჭურისთჳს გვწვევდა სახმილთა დებანი,
...ევრმან დავსწყევლეთ მას დღეს ჩუჱნ ჩუჱნნი დაბადებანი.

...ნ წავედით იგ მუნდადგა საქმე მოხდა არეული,
...ოდე კაცი დარჩა ხაზაზი თუ მზარეული,
... იმან ყმა არ ინდომა არ მემკვიდრე არეული,
...ოთა გოდოლთ მშენებელნი გავხდით ენა შერეული.

---

...მე ვახტანგისა მიერ სოფლით მიცვალება და ქართველთ
...ვადთა და აზნაურთა რუსთ ხელმიფის სამსახურში განწესება.

...ნახეთ წუთის სოფლისა ცრუი მტყუარა ფლიდისა,
...სვან სიბნელე ნათლისა ზედან გარდაკვრა ბინდისა,
...ანი ვიყვენით კეთილნი მის ცხებულისა დიდისა,
... გვწყალობდის უხვად გვაძლევდის სწავლით შვილურებ გვზრდიდისა.

...ს მოგვაშორა მუხთალმან გზა დაგვიბნელა სავალი,
...დრა გვემოვნა მუდრეგად სარგებლით გვთხოვა სავალი,
...აცმან მოიღო არ ითქმის ჩუჱნ თავზე გარდასავალი,
... გეტყვი მწარედ გულსა და მწვამს შემხუხავს და მტუსავს ...ლი.

ვაი რა ბოძი წაიქცა სახლკარი თავს დაგვექცაო,
ლხინი შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო,
ჩუენ ურმანი დავრჩით პატრონნი წავიდა შორს გაგვექცაო.
და გაფრთხილდი შენც არ დაგვექცე ღუთისმცა მაგრა დაექცა

მეფე მოგვიკუდა ვიქმენით ჩუენ მწარედ ოხერ ტიალი.
მით დაგვიბნელდა საწუთრო მუქთა ბრწყინვა და ჭყურტიალი,
მოგვწყდა წელ გული შევჰქენით ვით უმხროდ ჩიტმან ფრტიალი
და დავიწყეთ ვითა წიწილთა უკრუხობითა წკრტიალი.

მის დროს რუსთა თქვეს ქართველნო ეს თქუენცა გაგეგონება
თჳთ ქრისტე ბრძანებს მნელია ორთა უფალთა მონება.
იწამეთ ერთი უფალი თუმცა გენებოსთ ცხოვრება,
და ან წადით ანუ დადექით თავს ნუ მიეცით ღონება.

ჩუენ ოცს წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზსაო,
შემოგვეწევის თუ არას მუდამ ვერ ვაჭმევთ მზასაო,
თუ რომ დასდგებით ჩუენ თქუენთჳს ვამზადებთ კარგს მაზასაო,
და თუ არ დასდგებით დრო არის მიბრძანდებოდეთ გზასა...

ქართველნი სცდნენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო.
წინ წაუარეს ბაქარსა საქმე ქნეს თავას ნებაო,
სწორეთ იმ გზაზედ წავიდნენ საითაც იყო სნებაო.
და არავინ უწყის მუნითგან ცოცხალი ვინ ისხენებაო.

---

დასასრული.